


ჯონ აშერის ცნობები

საქართველოს შესახებ

ჯონ აშერის ცნობები საქართველოს შესახებ

ინგლისურიდან თარგმნა ნათია მეჩითიშვილმა

წინასიტყვაობა და განმარტებები დაურთო გიორგი სორდიამ

ყდის გაფორმებისათვის გამოყენებულია ფრაგმენტი თბილისის გამოსახულებიდან, რომელიც ერთვის ჯონ აშერის წიგნს „ლონდონიდან პერსეპოლისამდე“. ლონდონი, 1865 (ბრიტანეთის ბიბლიოთეკის ეგზემპლარი)

ყდის დიზაინი და დაკაბადონება: ნიკოლოზ ოსიპოვი



ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM) არის დამოუკიდებელი კვლევითი ინსტიტუტი, რომელიც სწავლობს ეთნო-პოლიტიკურ და კულტურულ პროცესებს, ეწევა საგანმანათლებლო და საკონსულტაციო საქმიანობას და ხელს უწყობს სამოქალაქო ცნობიერების ამაღლებას.

© ნათია მეჩითიშვილი
© გიორგი სორდია
© ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრი (CSEM), 2025

ყველა უფლება დაცულია

შინაარსი:

წინასიტყვაობა	**3**
თავი IV	**8**
თავი V	**21**
ილუსტრაციები	**36**

წინასიტყვაობა

წარმოგიდგენთ ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის მორიგ პუბლიკაციას თარგმანების სერიიდან. ჩვენი გამოცემების მკითხველს ალბათ ახსოვს, რომ ამ სერიის ფარგლებში საზოგადოებას ძირითადად ვთავაზობთ საქართველოსა და ზოგადად კავკასიის შესახებ ევროპელ ავტორთა და მოგზაურთა ნაშრომებისა და ჩანაწერების თარგმანებს, შესაბამისი განმარტებებითურთ. ასე მაგალითად, უკვე გამოვეცით და ჩვენს ოფიციალურ გვერდზე ნებისმიერი დაინტერესებული მკითხველისათვის ხელმისაწვდომია რამდენიმე ევროპელი ავტორის, მათ შორის ამანდ ფონ ლერხენფელდის, ჰენრი ნორმანის, ჰერბერტ კოქსონის, ჯულიო ფერარიოს ქართულ ენაზე თარგმნილი და რედაქტირებული ტექსტები.

ამჯერად კი გთავაზობთ ბრიტანელი მოგზაურის, ჯონ აშერის (John Ussher) ცნობებს საქართველოს შესახებ. მან 1860-იანი წლების დასაწყისში იმოგზაურა საქართველოში და დაგვიტოვა მეტად საინტერესო ჩანაწერები, რომლებიც არაერთი თვალსაზრისით საყურადღებო უნდა იყოს საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის მკვლევართათვის. ჯონ აშერს რაც შეეხება, მისი ბიოგრაფიის შესახებ, მცდელობის მიუხედავად, ძალზედ მწირი ცნობების მოძიება შევძელით. ერთადერთი, რაც დაზუსტებით შეიძლება ითქვას, გახლავთ ის, რომ აშერი ლონდონის წარჩინებული და მდიდარი ოჯახის წარმომადგენელი იყო, რომელსაც დაუოკებელი ინტერესი გააჩნდა აღმოსავლეთის ქვეყნებისა და ზოგადად აღმოსავლური კულტურის მიმართ. ამ ინტერესის გაღვივებას, როგორც ჩანს, ხელი დიდად შეუწყო ბრიტანულ და ზოგადად ევროპულ პრესაში მომრავლებულმა ცნობებმა კავკასიის ომისა (1817-1864), და უფრო ადრე, ყირიმის ომის (1853-1856) შესახებ, რამაც არაერთ ევროპელ თავგადასავლის მაძიებელს უბიძგა საინტერესო, მაგრამ სახიფათო მოგზაურობებისაკენ. ჯონ აშერიც ერთ-ერთ მათგანად უნდა მივიჩნიოთ. ამ რეგიონის მიმართ მზარდი ინტერესის დაკმაყოფილების მიზნით მან დაგეგმა კიდეც ხანგრძლივი მოგზაურობა, რომელიც 1860-იან წლებში განხორციელდა. მოგზაურობის დასრულების შემდეგ კი, 1865 წელს, ლონდონში მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოიცა მისი მოგზაურობის ამსახველი ვრცელი წიგნი სახელწოდებით „ლონდონიდან პერსეპოლისამდე“ (სრული ინგლისურენოვანი სახელწოდებაა: A Journey from London to Persepolis including Wanderings in Daghestan, Georgia, Armenia, Kurdistan, Mesopotamia, and Persia. London, Hurst and Blackett, 1865). ავტორის მოგზაურობის მარშრუტი კი მოიცავდა საქართველოს, ჩრდილოეთ კავკასიას, კასპიისზღვისპირეთს, სომხეთს, სპარსეთსა და მესოპოტამიას. წიგნის მოკლე შესავლიდან ირკვევა, რომ ავტორს თავდაპირველად არც კი ჰქონია ნაშრომის გამოქვეყნების განზრახვა, თუმცა მოგზაურობის დროს დაგროვილმა მდიდარმა და საინტერესო მასალამ მას გადააწყვეტინა ნანახი და ადგილზე განცდილი

შთაბეჭდილებები გაეზიარებინა ბრიტანელი საზოგადოებისათვის.[1]

მოგზაური საქართველოში გემით შემოდის, თავდაპირველად სტუმრობს სოხუმსა და ფოთს, შემდეგ კი ეტლით მოემგზავრება თბილისისაკენ. წიგნში კი ერთმანეთის მიყოლებით აღწერილია სოხუმი, ფოთი, მარანი, ქუთაისი, ბორჯომი, გორი, თბილისი და მისი შემოგარენი. საქართველოს შემდეგ კი ის მოგზაურობას ჩრდილოეთ კავკასიისაკენ აგრძელებს.

მოგზაურობის აღწერისას აშერი ხშირად კონკრეტულ თვესა და რიცხვს მიუთითებს ხოლმე, შესაბამისად ირკვევა, რომ ის საქართველოში ზაფხულის თვეებში სტუმრობდა, თუმცა არსად არის ნახსენები წელი. ტექსტში არსებულ გარკვეულ მინიშნებებზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის საქართველოში, ყველაზე გვიან, 1862 წელს შემოდის. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოება, რომ ავტორი რამდენჯერმე ალექსანდრე ბარიატინსკის მეფისნაცვლად მოიხსენიებს. ბარიატიანსკი კი ამ თანამდებობას 1863 წლამდე ფლობდა. ასევე, თბილისის აღწერისას ნახსენებია, რომ ქალაქის მთავარი პროსპექტი მოკირწყლული არ იყო. როგორც ცნობილია გოლოვინის პროსპექტზე ქვაფენილის დაგებაც 1863 წელს განხორციელდა.

აშერის მოგზაურობის წიგნი საკმაოდ მოცულობითია, შედგება ოცდაცამეტი თავისაგან, რომელთაგან მეოთხე და მეხუთე თავები მთლიანად საქართველოს ეძღვნება. წარმოდგენილ პუბლიკაციაში სწორედ ამ ორი თავის თარგმანს გთავაზობთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოგზაური საქართველოში სტუმრობას სოხუმით იწყებს. მისი დაკვირვებით ის კარგად გამწვანებული, ლამაზ ბაღებში ჩაფლული, კოხტა ქალაქია. სოხუმი ამ დროს რუსული მმართველობის ქვეშაა, რომელსაც ავტორის გადმოცემით სამი ბატალიონისაგან შემდგარი გარნიზონი იცავს. ქალაქში ყოფნისას აშერის ყურადღება მიიქცია არალეგალურმა, კონტრაბანდულმა ტვირთბრუნვამ. მან თავად იხილა ოსმალეთის სხვადასხვა პორტებიდან სოხუმში შემოსული გემები, რომლებიც ადგილობრივებთან უკანონო ვაჭრობაში იყვნენ ჩაბმულნი. აფხაზეთიდან ოსმალებს არაერთი დასახელების საქონელი გაჰქონდათ, თუმცა ამ აღებ-მიცემობაში ავტორი განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს ადამიანებით ვაჭრობაზე. საქმე ეხება „ტყვეთა სყიდვის“ მახინჯ პრაქტიკას, რომელიც გვიან შუასაუკუნეებში ძალზედ ფეხმოკიდებული იყო მთელი დასავლეთ საქართველოს მასშტაბით. მე-19 საუკუნეში ადამიანებით ვაჭრობამ მკვეთრად იკლო, მით უმეტეს ის ოფიციალურადაც იკრძალებოდა, თუმცა სრულად მისი აღმოფხვრა მაინც ვერ მოხერხდა. აშერის მონათხრობიდანაც ირკვევა, რომ ოსმალურ გემებს სხვადასხვა კონტრაბანდულ ტვირთთან

1 ყირიმის ომის დროს, კავკასიის რეგიონით ევროპელების დაინტერესების შესახებ იხილეთ ჩვენი წიგნი „საქართველოს შავიზღვისპირეთი ყირიმის ომისდროინდელ ევროპულ ჩანახატებში“. თბილისი, 2021.

ერთად, ნაყიდი ადამიანები, განსაკუთრებით კი ახალგაზრდა ქალები მიჰყავდათ ტრაპიზონსა და სტამბოლში. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირ შემთხვევაში, მშობლები, სიღარიბისაგან თავის დაღწევის მიზნით, თავად თანხმდებოდნენ საკუთარი ქალიშვილების გაყიდვას. აშერის წიგნის გარდა, მსგავსი ფაქტები კიდევ არაერთი ევროპელი ავტორის ცნობებშია გადმოცემული. ამ თემას პოეტური და გრაფიკული ნაწარმოებებიც კი ეძღვნებოდა, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ინგლისელი პოეტი ქალის, ენრიეტა ჰარისონის ლექსი „ქართველი დები“, რომელიც 1838 წელს გამოქვეყნდა ლონდონში, „ფინდენის ნახატების“ (Findens’ Tableaux) სერიით გამოცემულ წიგნში. ლექსს ერთვის მხატვარ ტომას იუვენსის იგივე სახელწოდების ნახატი, რომელზეც გამოსახულნი არიან დამწუხრებული ქართველი დები და მათი დედა. ნახატზე ასევე ჩანს უცხოელი ადამიანებით მოვაჭრე, რომელიც ფულს ითვლის დედისათვის გადასაცემად.[2]

სოხუმის დატოვების შემდეგ აშერი გემითვე ფოთს მიადგება, სადაც რამდენიმე დღის გატარება მოუწია. ფოთი მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან აღორძინების ეტაპს იწყებს, 1858 წლიდან ის უკვე ოფიციალურად სანავსადგურო ქალაქადაა გამოცხადებული, რაც აშერის ყურადღების მიღმა არ დარჩენილა. მან ქალაქს თბილისის პორტი უწოდა და დასძინა, რომ გაუსაძლისი კლიმატური პირობების მიუხედავად, ადრე თუ გვიან, ის დიდ საპორტო ქალაქად გადაიქცევა. თუმცა, საერთო ჯამში, მოგზაურზე ქალაქმა მაინც მძიმე შთაბეჭდილება დატოვა. ის დაწვრილებით აღწერს ფოთის ხის სახლებს, რომლებიც ჭაობში ჩაფლულ ბოძებზე ყოფილა გაშენებული. ტალახის, ჭაობის, მყრალი წყლის გუბეებისა და ყველგან გამეფებული მალარიის გამო ის ქალაქს უბადრუკს უწოდებს და ჩქარობს მის დატოვებას.

ფოთიდან აშერი თბილისისაკენ ეტლით გამოემგზავრა, გზად კი სოფელ მარნის, ქუთაისის, ბორჯომისა და გორის დათვალიერება მოასწრო. ამ დასახლებებისა და ქალაქების აღწერებში განსაკუთრებით საინტერესო და საყურადღებოა ცნობები რიონისპირა სოფელ მარნის შესახებ. მოგზაური აქ გადაეყარა სკოპცების თემს, დაახლოებით ორასორმოცდაათ ადამიანს, რომლებსაც კოტეჯის ტიპის სახლებში მოეწყოთ ბინა. სკოპცები, იგივე საჭურისთა რელიგიური მიმდინარეობაა, რომლებიც „რასკოლნიკობის“ ბრალდებით, რუსეთის იმპერიის სხვადასხვა პროვინციებიდან, კავკასიაში გადმოასახლეს. საქართველოში ისინი 1820-იანი წლებიდან ჩნდებიან, თავდაპირველად მარანში, მოგვიანებით კი კოდორის ხეობაში. ამ დასახლებებში სკოპცების ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ არც თუ ბევრი ცნობაა შემორჩენილი, შესაბამისად, აშერის ჩანაწერები ერთობ მნიშვნელოვანი უნდა იყოს. მოგზაური მარანში მცხოვრებ სკოპცებს დადებითად ახასიათებს. აღნიშნავს, რომ გამოირჩევიან წესიერებით, მათი

2 აღნიშნული გამოსახულება შეგიძლიათ იხილოთ ჩვენს ონლაინ პუბლიკაციაში „ქართველთა ჩაცმულობა და ეთნოგრაფიული ტიპაჟები XVI-XIX საუკუნეების ევროპულ ბეჭდურ გამოცემებში“. თბილისი, 2020.

ეზო-კარი კი ბუჩქებითა და ყვავილებით ყოფილა მორთული. სკოპცების ყოველდღიურ საქმიანობას რაც შეეხება, აშერის გადმოცემით, ისინი ჭვავის პურის გამოცხობითა და რიონში თევზაობით ყოფილან დაკავებულნი.

აშერის მოგზაურობის წიგნში განსაკუთრებულ ყურადღებას, რა თქმა უნდა, თბილისი იქცევს. ავტორის მონათხრობიდან ირკვევა, რომ ის ქალაქში დასავლეთიდან, ე. წ. „რუსული უბნიდან“ შემოსულა. იქვე აღწერს ამ უბნის მთავარ ქუჩას, რომელიც დიდი ალბათობით, იმდროინდელი გოლოვინის პროსპექტი უნდა იყოს. ამ ქუჩას ავტორზე დიდი შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მართალია ამბობს, რომ ის ევროპული შესახედაობისაა, ორივე მხარეს განთავსებული მაღაზიებით, კაფეებით, ადმინისტრაციული შენობებითა და გუმბათოვანი ეკლესიით, თუმცა ამის მიუხედავად, ის მტვრით ყოფილა სავსე, არასათანადოდ მოკირწყლული გზის გამო. მოგზაურის ყურადღება ასევე მიიქციეს ღორებმა, რომლებიც პროსპექტზე ქატოს პოვნის იმედით მიწაში იქექებოდნენ. სავარაუდოდ სწორედ ასეთი უსიამოვნო სანახაობის გამო, თბილისთან დაკავშირებით აშერი იყენებს ისეთ შეფასებებს, როგორებიცაა „უბადრუკი“ და „პირქუში“.

თბილისთან დაკავშირებით მოგზაურის პირველადი ნეგატიური შეფასებები მალევე შეიცვალა, მას შემდეგ რაც ის სასტუმრო „კავკაზში“ დაბინავდა და ქალაქის აღმოჩენისა და შესწავლის შესაძლებლობა მიეცა. ეს სასტუმრო ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე იყო განთავსებული და თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ ითვლებოდა. აშერიც მას პოზიტიურად აფასებს, მოეწონა მისი სუფთა და ნათელი ოთახები, კმაყოფილი დარჩა სასტუმროს ფრანგი მზარეულის მიერ მომზადებული კერძებითაც. მან აღფრთოვანება ვერ დამალა ასევე სასტუმროს გარშემო არსებული სივრცით, რომელიც დაკავებული ყოფილა მრავალფეროვანი მაღაზიებითა და ოფისებით, განსაკურებული ყურადღება კი დაიმსახურა სასტუმროს მოპირდაპირე მხარეს განთავსებულმა ოპერის თეატრმა. ეს თეატრი მოგვიანებით ხანძარმა შეიწირა, თუმცა მანამდე მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თბილისის კულტურულ ცხოვრებაში. აშერიც კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დაესწრო, მისი იქ ყოფნის დროს, თბილისში გასტროლებზე მყოფი იტალიური ოპერის წარმოდგენას.

თბილისში ყოფნის დროს, მოგზაურზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება კი ქალაქის ეთნიკურმა და რელიგიურმა მრავალფეროვნებამ მოახდინა. მისი გადმოცემით, თბილისში ქართველების გარდა ადვილი შესამჩნევი არიან სომხები, სპარსელები, თათრები, ჩერქეზები, რუსები და გერმანელები. ამ უკანასკნელთა შესახებ კი აშერი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ისინი ქალაქის გარეუბანში კოლონიას ფლობენ, მათი ეზოები კი კოხტა და მოვლილია. თბილისის გერმანელების შესახებ ავტორი ასევე დასძენს, რომ ისინი პროტესტანტულ რწმენას ინარჩუნებენ, ბევრი მათგანი კი ტრადიციულ გერმენულ სამოსსაც ატარებს. აშერის აზრით, ადგილობრივები სწორედ გერმანელებს უნდა უმადლოდნენ ორთვალის შემოღებას, რომელიც, მისი შეფასებით, ბე-

ვრად სჯობდა იმას, რასაც მანამდე იყენებდნენ ამ ქვეყანაში.

თბილისის მრავალფეროვნებით აღფრთოვანებული აშერი დასძენს, რომ ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებში გავლა ერთობ თავშესაქცევ საქმიანობას წარმოადგენს. ის დეტალურად და საკმაოდ ოსტატურად აღწერს თბილისის ქუჩებში ნანახ სხვადასხვა ეთნოსთა ჩაცმულობის თავისებურებებს და ასკვნის, რომ კოსტიუმების ასეთი უჩვეულო ნაზავს, თბილისის გარდა, სხვაგან ძნელად თუ შეხვდება ადამიანი.

თბილისში ყოფნის ბოლო დღეებში მოგზაური უკვე სრულიად განსხვავებულად აფასებს ქალაქს, თუ თავდაპირველად ის „უბადრუკი“ შესახედავი იყო, მოგზაურობის დასასრულისკენ თბილისი მისთვის უკვე „დიდებული ქალაქია“. ამ დიდებულების საილუსტრაციოდ კი ის წიგნს ურთავს ორ ბრწყინვალე ლითოგრაფიას. ერთზე თბილისის პანორამული ხედია აღბეჭდილი, მეორეზე კი ქართველი ქალების კოსტუმები. ორივე გამოსახულება მაღალპოლიგრაფიულ დონეზეა დაბეჭდილი ლონდონის ერთ-ერთ საუკეთესო, ვინსენტ ბრუქსის (Vincent Brooks), ლითოგრაფიულ სახელოსნოში. აშერი სამწუხაროდ არ ასახელებს ნახატების ავტორთა ვინაობას, თუმცა მსგავსებიდან გამომდინარე, სავარაუდოა, რომ ორივე გამოსახულების ესკიზის შექმნის დროს, მხატვარმა ნიმუშად გამოიყენა ცნობილი რუსი მხატვრის, გრიგორი გაგარინის ნამუშევრები.

აშერის წიგნში განთავსებული, საქართველოსთან დაკავშირებული, ორივე გამოსახულების ციფრული ასლი ჩვენ შევიძინეთ ბრიტანეთის ბიბლიოთეკისაგან, რომლებსაც დანართის სახით ახლავს ამ პუბლიკაციას.

გიორგი სორდია

ეთნიკურობისა და მულტიკულტურალიზმის შესწავლის ცენტრის დირექტორი

თავი IV

ჩერქეზთა ემიგრაცია - სუჯუქ კალე - სუხუმ კალე - ჩერქეზი ქალებით ვაჭრობა - სცენები სამეგრელოში - დაბალი და ჭაობიანი სანაპირო - ფოთი - კაპიტანი კუტაიეფი - კონსულის სახლი - კაზაკთა უნაგირებზე ჯდომა - ველური ღვინო - გურული გლეხები - ბერკლი და პერკინსი - მარანი - გლეხების კოსტიუმი - რუსული იურისდიქცია და მთავრობა - ხალხის ყოფის აღწერა გურიასა და სამეგრელოში - ევნუხები - სკოპცეების რწმენა და ადათ-წესები.

მას შემდეგ, რაც აზოვის ზღვის ტალახიანი წყალი უკან მოვიტოვეთ, სანაპიროს შორიახლოს მივცურავდით. მოთეთრო-მოყავისფრო დაბალი ბორცვები თანდათან გამაღლდა და მათი, აქამდე მოსაწყენი და გამომშრალი მხარეები ტყით და ბუჩქებით შეივსო. პატარა შუალედებს თუ არ ჩავთვლით, ისინი ასეთებად დარჩნენ კონსტანტინოპოლამდე. მთები უამრავი ვიწრო ხეობით იხლიჩებოდა, რომლებიც ციცაბო დაბლობებით პირდაპირ ზღვაში ეშვებოდნენ. დარჩენილი ნაწილი კი ხშირი ტყით იყო შემოსილი, რომლის ხეები მწვერვალამდე აღწევდნენ.

მას შემდეგ, რაც ქერჩში ორას ორმოცდაათზე მეტი ჩერქეზი[3] ემიგრატი ამოვიდა, გემზე მგზავრთა რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა. მათი უმეტესობა ჩერქეზთა იმ ტომებს ეკუთვნოდა, რომლებმაც ახლახან მწარე მარცხი განიცადეს რუსებთან თავგანწირულ ბრძოლაში და ახლა იძულებულნი გამხდარიყვნენ სამუდამოდ დაეტოვებინათ სამშობლო,[4] თანაც მათთვის საძულველი მტრის კუთვნილი ხომალდით. ახლადამოსულ მგზავრთა უმეტესობას ქალები და ბავშვები შეადგენდნენ. უნდა ითქვას, რომ ძალიან გასაცოდავებულ და უბადრუკ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, თუმცა მათ შორის ერია ტიტულოვანი მდიდარი ჩერქეზი, რომელიც მოსალოცად მიდიოდა მექაში. მას თან ახლდა ერთ-ერთი ცოლთაგანი მთელი თავისი ამალით. ქალბატონი საგულდაგულოდ შემოსილიყო თავსაბურავში, რათა ურჯულოთა უტიფარ მზერას დამალოდა. თავის ოჯახსა და ამალასთან ერთად გემბანის თითქმის სამი მეოთხედი ეკავა. ეს ადგილი მხოლოდ მათთვის იყო გამოყოფილი მთელი მგზავრობის განმავლობაში.

---

3 საფუძვლად უდევს ეთნონიმი „კერკეტი“, რომლითაც ძველი ბერძნენი ავტორები შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე მცხოვრებ ადიღეური მოდგმის ხალხს აღნიშნავდნენ. თანამედროვე ეტაპზე ჩერქეზები ძირითადად ცხოვრობენ ჩრდილოეთ კავკასიაში - ადიღეს, ყაბარდო-ბალყარეთის და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკებში. სახელწოდება „ჩერქეზი“ ასევე გამოიყენება მუჰაჯირობის დროს ახლო აღმოსავლეთსა და აფრიკაში გადასახლებული ადიღეური წარმოშობის ხალხების აღსანიშნავად. ან ნაშრომშიც ავტორი „ჩერქეზს“ იყენებს შავიზღვისპირეთში მცხოვრები სახლების კოლექტიურ სახელწოდებად.

4 ავტორი გულისხმობს კავკასიის ომს, რომელიც 1817-1864 წლებში მიმდინარეობდა და რამაც გამოიწვია რუსეთის იმპერიის მხრიდან ჩრდილოეთ კავკასიის დამორჩილება და კავკასიელი ხალხების ნაწილის სრული განადგურება. კავკასიის ომის შემდეგ მრავალი კავკასიური წარმოშობის ხალხები იძულებული გახდნენ ოსმალეთის იმპერიაში გადასახლებულიყვნენ, რაც „მუჰაჯირობის“ სახელით არის ცნობილი.

ქალბატონის მოსამსახურეები თავსაბურავების გარეშე იყვნენ. მათზე დაქანცულ, გაძვალტყავებულ, გასაცოდავებულ და დანაოჭებულ სახეებს ძნელად თუ ნახავდა კაცი. ზოგიერთი მათგანი ორნამენტსა და ქამარს ატარებდა. ამით შემოიფარგლებოდა მათი აღჭურვილობა და ავლა-დიდება. მთელი ოჯახობა, ქალბატონისა და მოსამსახურეების ჩათვლით, ერთად ჭამდა და სვამდა. ძილითაც ერთად ეძინათ. ეტყობოდათ, საქმე არაფერი ჰქონდათ. მთელ დღეებს უსასრულო ჭორაობაში ატარებდნენ. ხანდახან მათი ხმა წივილ-კივილში გადაიზრდებოდა ხოლმე. მოსამსახურეების ქცევაში კაცი დიდ პატივისცემას ვერ დაინახავდა თავიანთი ქალბატონის მიმართ.

გემბანზე მყოფი ჩერქეზი კაცები კი, პირიქით, განურჩევლად კლასისა თუ ტიტულისა, ყველა თვალშისაცემად წარმოსადეგი იყო. მსუბუქად და ლაღად მოსიარულენი. მხარგაშლილები, მშვენიერი მიხრა-მოხრით. მათი შემხედვარე, უნებურად იფიქრებდი, ნუთუ ესენიც და ის ჩერქეზი ქალებიც ერთ მოდგმას ეკუთვნიანო. ჩინებულად იყვნენ ჩაცმულ-დახურულნი. მათი ასტრახანული ქუდები წითელი მოოქროვილი ქსოვილით მთავრდებოდა. გრძელი მოსასხამები მუხლებს სცდებოდა. წელზე ვერცხლის ღილებიანი სარტყელები შემოერტყათ, გულმკერდის ორივე მხარე კი ექვსი-შვიდი ვერცხლის ტყვიების ვაზნებით დაემშვენებინათ. ტყავის ქარქაშიანი, განიერი, ვერცხლის ორნამენტებით გაწყობილი განიერი მხრებით მთავრდებოდა მათი აღკაზმულობა და თვალწარმტაცი კოსტუმ-იარაღი, რომელსაც ომის გარდა, სხვა ბევრი გამოსადეგი დანიშნულებაც ჰქონდა. გადაჭარბებული მონდომებით და ყურადღებით ასრულებდნენ ლოცვებს და თავიანთ სხვა რელიგიურ რიტუალებს, იმაზე გულდასმითაც კი, ვიდრე მათი თანამორწმუნენი მეზობელ თურქეთში.

ბევრი მათგანი ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მეფის წინააღმდეგ იბრძოდა, თუმცა ახლა დანებებულიყვნენ და რუსეთის მმართველობა არათუ ეღიარებინათ, მეფის სამსახურშიც კი ჩამდგარიყვნენ. ერთ-ერთი მათგანი გამოგველაპარაკა კიდეც. იგი იმპერატორის კარზე მსახურობდა და ლეიტენანტ-პოლკოვნიკის წოდებაც კი მიეღო. არადა, ცოტა ხნის წინ მეფის წინააღმდეგ იბრძოდა. ჩერქეზი კაცები კეთილშობილური გარეგნობითა და ისეთი მშვენიერი სახის ნაკვთებით გამოირჩეოდნენ, ბევრ ევროპელ არისტოკრატს შეშურდებოდა. ბევრი მათგანი გარეგნობით თავად ნიკოლოზ მეფეს ჩამოჰგავდა.

ემიგრანტთა ღარიბი ნაწილის ამ მეტად სავალალო მდგომარეობას გემის კაპიტანი უკვე მიჩვეოდა. მას გამუდმებით უწევდა მათი საკვებით მომარაგება, რადგან ისინი ან ნამეტანი გაჭირვებულები იყვნენ, ან კიდევ საკუთარი წინდაუხედაობისა და დაუდევრობის გამო საკმარისი საგზალი არ წამოეღოთ, რომ კონსტანტინოპოლამდე თავი გაეტანათ. საკვირველია, რითი აპირებდნენ თავის რჩენას კონსტანტინოპოლში ჩასვლის მერე, ან რა ბედი ეწეოდათ მათ. მაგრამ ამაზე სულთნის კარზე იდარდონ. ეს ჩვენ აღარ გვეხება.

მათი ამოსვლისთანავე კაპიტანმა მთელ გემბანზე დიდი რაოდენობის რწყილის საწინააღმდეგო ფხვნილი მოაფრქვია, თან წუწუნებდა, ამ ფხვნილის გამო კაიუტის მგზავრი აღარ მეყოლება აწი, მაგრამ მათ თან იმდენი მკბენარა ამოიყოლეს, ამის გარეშე შეუძლებელი იქნებოდაო. და მაინც, ალბათ მათი სიღარაბის გამო თუ იყო, რომ კაცი ძალაუნებურად თანაგრძნობითა და პატივისცემით იმსჭვალებოდა ამ ნებაყოფლობით გადასახლებულთა მიმართ. მათი გაქცევის რადიკალური და შეუწყალებელი ბუნების მიუხედავად, მათი განზრახვა გულწრფელი და ალალი იყო. ისინი მშობლიურ კერას და მეტ-ნაკლებად კომფორტულ ცხოვრებას სამუდამოდ ეთხოვებოდნენ, რადგან არ შეეძლოთ საძულველ ქრისტიანთა ბატონობის ქვეშ ეცხოვრათ. ერჩივნათ თავშესაფარი მეზობელ მუსლიმებთან ეძიათ.

გზად ანაპას ნანგრევები შემოგვხვდა. ერთ დროს მნიშვნელოვანი სამხედრო პორტი, რუსეთ-თურქეთის მრავალი სისხლიანი ომის მომსწრე, რუსებს გაუნადგურებიათ ბოლო ომისას. ანაპას ნანგრევები უკან მოვიტოვეთ და ნოვოროსიისკს, იგივე სუჯუქ-კალეს მივადექით, რომელიც ზღვის პირას გაშენებული უამრავი ციხე-სიმაგრისგან შედგებოდა. მისი მთავარი დანიშნულება მომთაბარე ადგილობრივი ხალხის კონტროლი და იქ გამეფებული კონტრაბანდის აღკვეთა იყო. იქაურ ხალხში იმ დროს ხშირი იყო ტყვია-წამლით, მარილითა და სხვა მსგავსი საქონლით ვაჭრობა, რომლებიც კონსტანტინოპოლიდან და ტრაპიზონიდან უკანონოდ შემოჰქონდათ. მიუხედავად მკაცრი ზომებისა, რუსეთი ვერ ახერხებდა უკანონო ვაჭრობის საბოლოო აღკვეთას. აქაურ ადგილობრივ ტომებს ნატუხაელები[5] ერქვათ. მათი ციხე-სიმაგრეები აურაცხელი ქოხისგან შედგებოდა, რომელთა შუაგულში დიდი ეკლესია იდგა. გარშემო კი, მთელ დასახლებას კედელი ერტყა, რომლის კუთხეები ოციოდე ფუტის სიმაღლისა იქნებოდა. ციხე-სიმაგრე ზღვის პირას იდგა, მაგრამ ისე ახლოს მთებთან, მისი ალყაში მოქცევა სულ ადვილი საქმე იყო, მაგრამ ეტყობა ჩერქეზებს ამ საქმისა არაფერი გაეგებოდათ. ბოლო ოცდაათი წლის განმავლობაში ბევრი ასეთი ციხე-სიმაგრე აუშენებიათ რუსებს, მაგრამ მათი უმეტესობა თავადვე გაუნადგურებიათ და ახლა ნანგრევებიღა იყო მათ ადგილას.

საღამოს ტრანსპორტის მგზავრებს გავესაუბრეთ. ტრანსპორტს რუსები ეძახდნენ, თორემ ჩვენთვის ის კორვეტს[6] უფრო ჰგავდა. მათვე გვიამბეს, რომ ქარს სავაჭრო ხომალდი გამოურიყავს, დაახლოებით იმ ადგილას, სადაც ჩვენ ვიმყოფებოდით. გემს ჩერქეზები დასხმიან თავს, რომლისთვისაც ასეთი შემთხვევა ღვთისწყალობაა და გაუძარცვავთ. ეკიპაჟი კი მძევლებად აუყვანიათ. სანაპიროს მთელი ეს

5 ავტორი მოიხსენიებს Natochuadch-ის სახელწოდებით. ჩერქეზული წარმოშობის სუბ-ეთნოსია, ძირითადად ცხოვრობდნენ შავი ზღვის სანაპიროზე, ანაპასა და მასთან ახლო მდებარე ტეროტორიებზე.

6 სამხედრო ხომალდი, რომელსაც ძირითადად მტრის სადაზვერვოდ იყენებენ.

ნაწილი სუხუმ-კალემდე[7] ჯერ კიდევ დამოუკიდებელია. მის უდაბურ ტყეებსა და მიუვალ მთებს თუ გავითვალისწინებთ, კიდევ კარგა ხანს შეინარჩუნებენ დამოუკიდებლობას. სწორედ ახლა, ქერჩში მათ წინააღმდეგ შეტევა მზადდებოდა, რომელიც წინა ექსპედიციების მსგავსად, წარუმატებელი აღმოჩნდა და დიდი ზარალიც იწვნია. რუსეთის ჯარი განახევრებული დაბრუნებულა უკან.

ამის შემდგომ ბიჭვინთის ნანგრევებს მივადექით, კიდევ ერთ გაუქმებულ ციხე-სიმაგრეს, რომელიც უწინ გენუას მდიდარ კოლონიას წარმოადგენდა. როგორც გვითხრეს, აქ ჯერ კიდევ შემორჩენილა ულამაზესი ტაძარი და მის მეზობელ მთებში ჯერ კიდევ დგას პატარა მონასტერი. აქ მოსახლე ჩერქეზებს თურმე აფხაზები ჰქვიათ და ისინი სუხუმ-კალემდე სახლობენ და მის გარშემოც.

სუხუმ-კალეს მხოლოდ მომდევნო დღეს მივაღწიეთ. ქალაქს კონტრაბანდისტთა სტუმრობის კვალი ემჩნეოდა. ამაზე მიუთითებდა ქალაქში დანთებული კოცონები და ნაპირზე გამართული ფუსფუსი და თადარიგი. ამგვარ ხომალდებს, როგორც წესი, მარილი, ტყვია-წამალი, ბამბა და მსგავსი საქონელი ჩამოჰქონდა ტრაპიზონიდან, სანაცვლოდ კი ჩერქეზი გოგონები მიჰყავდა კონსტანტინოპოლის ბაზარზე გასაყიდად. ეს საცოდავი არსებები გაუსაძლის პირობებში მგზავრობენ, რადგან, როგორც წესი, კონტრაბანდისტები ზღვაში სწორედ ღამით და ავდარში გადიან, რათა რუსეთის გემებს თვალში არ მოხვდნენ. უკვე თორმეტი-თოთხმეტი წლის ასაკში ამზადებენ ჩერქეზ გოგონებს საკუთარი მამები და ძმები გასაყიდად.[8] მიუხედავად ამისა, ისინი ბედს არ უჩივიან. პირიქით, მოუთმენლად ელიან ახალი ცხოვრების დაწყებას. როგორც ზოგადად, პრიმიტიულ და არაცივილიზებულ ხალხებს სჩვევიათ, ჩერქეზ ქალებს ოჯახში დიდი ჯაფა ადგიათ. მძიმე ცხოვრება და სიღარიბე მათ ნაადრევად აბერებს და წელში სტეხს. ჰოდა რა გასაკვირია, თუკი სახლში ასეთ მონურ ცხოვრებას მდიდარი მუსლიმი კაცის ცოლობა ურჩევნიათ. ერთ-ერთმა თანამგზავრმა გვიამბო ჩერქეზი კაცის ამბავი, რომელსაც ორი ქალიშვილი წაეყვანა სტამბოლის ბაზარზე. უფროსი კარგ ფასად გაუყიდია, მაგრამ უმცროსი ქალიშვილის გაყიდვისგან თავი შეუკავებია. იგი ჯერ მხოლოდ თორმეტი წლის იყო და როგორც ჩანს, მამას მასთან განშორება, მიუხედავად ამ უკანასკნელის მუდარისა, ვერ გადაეწყვიტა. უკანა გზაზე მეკობრეები დასხმიან თავს და უმცროსი ქალიშვილიც წაურთმევიათ. ქალიშვილს ტირილით უსაყვედუ-

---

7 სუხუმ-კალე (იგივე სოხუმის ციხე) ოსმალების მიერ სოხუმისათვის შერქმეული ერთ-ერთი სახელწოდებაა. ქალაქი რუსეთის იმპერიის დაქვემდებარებაში 1810 წელს გადავიდა, მას შემდეგ რაც ის რუსულმა ჯარებმა დაიპყრეს. ყირიმის ომის დროს (1853-1856), მცირე ხნით, ის კვლავ ოსმალურ მფლობელობაში გადადის, თუმცა ომის დასრულების შემდეგ, ქალაქში კვლავ რუსული ჯარები შედიან. აშერის ვიზის დროს სოხუმი რუსების კონტროლის ქვეშ იმყოფებოდა.

8 ყმებით ვაჭრობა, იგივე „ტყვეთა სყიდვა“ ძალზეც გავრცელებული მოვლენა იყო გვიან შუასაუკუნეების საქართველოში. მე-19 საუკუნიდან ამ მანკიერმა პრაქტიკამ მკვეთრად იკლო, თუმცა მისი ცალკეული გამოვლინებები, როგორც აშერის და ამ ეპოქის სხვა ნაშრომებიდან იკვეთება, კვლავ შენარჩუნებული იყო.

რია მამისათვის, რომ თავისი სიჯიუტით მან ქალიშვილიც დაკარგა და ის თანხაც, რომელსაც მას სთავაზობდნენ თურქეთის ბაზარზე.

ეს პატარა არსებები თავიან სამშობლოშიც ქმრების საკუთრებასა და მონებს წარმოადგენენ, იმ განსხვავებით, რომ მთელ ცხოვრებას სიდუხჭირესა და შრომაში ატარებენ, ამიტომაც მდიდარი თურქის ცოლობას და ჰარამხანაში, ფუფუნებასა და უსაქმურობაში ყოფას არჩევენ.

ოჯახში ყველაზე ლამაზ ქალიშვილებს გასაყიდად ინახავენ, შეძლებისდაგვარად უფრთხილდებიან, ანებივრებენ და არც საოჯახო საქმეებისთვის იმეტებენ, რათა სილამაზე არ დაჰკარგონ ნაადრევად. სათანადო ასაკს რომ მიაღწევს, ქალიშვილი ოჯახს ეთხოვება, დედა და დები ტირილით აცილებენ წამსვლელს, ხოლო მამა და ძმები ყველა ზომას იღებენ, რათა ზღვაზე მეკობრეებს დაუძვრნენ და ძვირფასი განძი უსაფრთხოდ ჩაიყვანონ ბაზარზე. ხანდახან გოგონებს მონებით მოვაჭრეები პირდაპირ ოჯახიდან ყიდულობენ, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში მამებს და ძმებს თავად მიჰყავთ ქალიშვილები და თანხას პირდაპირ მომავალი სიძისგან იღებენ ხელზე. ასეთ შემთხვევაში, უკანა გზაზე მათ უკვე შეუძლიათ შეიძინონ ტყვია-წამალი, მარილი ან ის აკრძალული საქონელი, რომელზეც მათ ადგილობრივ ბაზარზე იმ დროს დიდი მოთხოვნაა.

სუხუმ-კალე ღრმა ყურის ქვედა ნაწილში მდებარეობს და გარს თელისა და წიფელას ტყეებიანი დაბალი მინდვრები არტყია. ციხესიმაგრე თავის დროზე თურქებს აუშენებიათ. ახლა მისგან ნანგრევებიღა დარჩენილა. განადგურების პირას მისული ხის ფარდულები, რომლებსაც ადრე მრავალმხრივი დანიშნულება ჰქონდათ, ახლა ასევე ნანგრევებად ქცეულ კედლებს აყუდებიან. ქალაქი, სადაც სამი ბატალიონისგან შემდგარი გარნიზონი დგას, ბრტყელ, ჭაობიან, ზღვასა და ბორცვებს შორის გადებულ ერთი მილისოდენა სიგანის მიწის ნაკვეთზე გაუშენებიათ. სუფთა და კოხტაა იქაურობა. სახლები პატარა, მაგრამ მყუდრო. თითოეულ სახლს პატარა ბაღი არტყია გარშემო, კედელზე ახლართული მცოცავი ბალახებით, ვარდებითა და სხვა მრავალგვარი მცენარეებით. ეს იქაურ ფართო და ერთმანეთში გადახლართულ ქუჩებს ძალზედ აკოხტავებს.

ქალაქი ქუთაისი სუხუმ-კალესგან სამხრეთ-აღმოსავლეთით, ასიოდე მილის დაშორებით მდებარეობს. სამხედროებს სუხუმ-კალესა და ქუთაისის დამაკავშირებელი გზის სამშენებლო საქმიანობა დაწყებული ჰქონდათ, თუმცა ისეთი პირი უჩანდა, საქმეს კიდევ კარგა ხანს ვერ მორჩებოდნენ.

ვიდრე ჩვენი გემი რამოდენიმე საათით ყურეში იდგა, ვისარგებლეთ და ბრიტანეთის კონსულის, ბატონი დიქსონის, თანხლებით, სუხუმ-კალეში გავისეირნეთ. ჩვენი ყურადღება უამრავი ნაირსახეობის ვარდებმა მიიპყრო. ზოგადად, ქალაქში მწვანე საფარის სიმდიდრემ სასიამოვნოდ

გაგვაკვირვა. თითქმის ყველა სახეობის ხეს შეხვდებოდით, თუმცა თელა და წიფელა ჭარბობდა. გზა ქუთაისამდე ფართო და რიგიანი იყო. გზად სამუშაო იარაღასხმული სამხედროები შემოგვხვდნენ, რომლებიც სამუშაო დღის მერე სახლში ბრუნდებოდნენ. მიუხედავად იმ დროს შავი ზღვის პირას გავრცელებული ციებისა და მალარიისა, ისინი ჯან-ღონით სავსე და ძლიერები ჩანდნენ. სუხუმ-კალემდე და მის მერეც, საკმაო მანძილზე, სანაპირო დაუსახლებელ და დაუმუშავებელ ადგილს ჰგავდა, და ერთადერთი, რაც იმ ადგილებში დასახლებულ ხალხზე მიანიშნებდა, აქა-იქ ტყიდან ამოსული კვამლი იყო. თუმცა, როგორც კი ჩამოვიტოვეთ მუსლიმთა ეს მხარე და ქრისტიანული სამეგრელოსკენ გავწიეთ, ტყეები შეთხელდა, დასახლებული ადგილები კი, პირიქით მომრავლდა.

სამეგრელოში ანაკლიასა და რედუტ-კალეს[9] რომ გავცდით, არც თუ ისე მნიშვნელოვან სამხედრო პორტს, ფოთს მივადექით, რომელიც უძველესი ფაზისის, ახლა კი რიონად წოდებული მდინარის ხახაში გაეშენებინათ. ფოთი თბილისის პორტად ითვლება შავ ზღვაზე და მიუხედავად გაუსაძლისი კლიმატისა, იგი ადრე თუ გვიან დიდ საპორტო ქალაქად გადაიქცევა.[10] ამ უბადრუკი და საცოდავი დასახლების შემხედვარეს ძალაუნებურად დიკენსის მარტინ ჩეზლვიტი გაგახსენდებათ, სადაც ის შეუდარებლად აღწერს სამოთხეს. სანაპირო გაშლილი იყო და ჭაობიანი, წყალი კი ტალახიანი, მუხუდოს წვნიანის მსგავსი. ზუსტად ასეთივე წყალს ნახავდით დუნაის სულინას პორტშიც. დილა მშვიდი იყო, მზე კი მცხუნვარე. წყალს სქელ ნისლში გახვეული ოხშივარი ასდიოდა, რაც იქ გამეფებული ცხელებისა და მალარიის დავიწყების საშუალებას არ იძლეოდა. ჩვენ გარშემო ყველაფერი ნისლში იყო ჩაძირული. ღუზა, ხმელეთისგან მოშორებით, ტალახიან წყალში ჩავუშვით. ბინძური მდინარე, შავი მურყნით დაფარული ჭაობის გავლით ზანტად ჩაედინებოდა ზღვაში.

ჩასვლიდან დაახლოებით ერთ საათში პატარა გემი ჩამოდგა და მდინარის აღმა გავცურეთ, ვიდრე ქალაქს არ მივადექით. მარჯვნივ თურქების მიერ აშენებული ოთხკუთხა ფორმის ციხე-სიმაგრის ნანგრევები მოგვყვებოდა, რომლის შიგნით ახლა კომბოსტო მოუყვანიათ. მდინარე დაახლოებით ოთხმოცი იარდის სიგანის იყო. სუსტი დინების. კაპიტანი კუტაიეფი, რომელიც იმ დროს ქალაქის გამგებელიც იყო და ოდესიდან ქერჩამდე

9 რედუტ-კალე (იგივე ყულევი) მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთის იმპერიისათვის აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთში ყველაზე მნიშვნელოვან ნავსადგურს წარმოადგენდა. რედუტ-კალემ 1840 წელს ქალაქის სტატუსიც მიიღო და მნიშვნელოვან სავაჭრო ფუნქციებს ასრულებდა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან რუსეთის და ევროპის ქვეყნებს შორის. სხვადასხვა მონაცემებით, 1850-იანი წლებისათვის რედუტ-კალეში 1060 ადამიანი ცხოვრობდა, ქალაქში ყოფილა 68 სახლი, 155 დუქანი, ერთი ორკლასიანი სასწავლებელი და ერთი მართლმადიდებლური ეკლესია. უფრო დაწვრილებით ამ პეროდის რედუტ-კალეს შესახებ იხ. მამანტი პაჭკორია, რედუტ-კალე (ყულევის ნავსადგურის გახსნის ისტორიიდან). „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1968.

10 ფოთში ნავსადგურის მოსაწყობი სამუშაოები, ნიკოლოზ I-ის განკარგულებით, მე-19 საუკუნის დასაწყისშივე დაიწყო. 1858 წელს კი ის ოფიციალურად სანავსადგური ქალაქად გამოცხადდა.

ჩვენთან ერთად მგზავრობდა, პატარა ხომალდით შეგვეგება და იმ მცირე დროის განმავლობაში, რაც ფოთში დავყავით, ძალ-ღონე არ დაუშურებია ჩვენს შესაქცევად, მაგრამ კიდევ უფრო მეტად იმ დახმარებისთვის ვართ მისი მადლიერნი, რაც მან აღმოგვიჩინა, რათა დროულად და დაუბრკოლებლად დაგვეტოვებინა ფოთი.

ერთ ქვის სახლს ვერ ნახავდით ამ გავერანებულ ადგილას. ხის სახლები ტალახიან, აყროლებულ მიწაში ღრმად ჩასობილ ბოძებზე იდგა. ზომით თექვსმეტი-თვრამეტიოდე კვადრატული მეტრის იქნებოდა. გაურკვეველი მიზეზის გამო, სახლების ქვემოთ მყრალი წყლის გუბეები დამდგარიყო, სადაც ბაყაყთა გუნდი დღენიადაგ მხიარულად ყიყინებდა. ასეთი სახლებით მოფენილი ქუჩა შეადგენდა მთელ პორტს. ქუჩა უეცრად წყდებოდა და მის ბოლოში, მურყნის ხშირი, ბარაქიანი და მიუვალი ტყე იწყებოდა. მთელ ქალაქში ასეთი დაახლოებით სამოცი-სამოცდაათიოდე ხის ქოხი იქნებოდა. ქალაქში მცხოვრებლებს მაღაზიები ჰქონდათ და საჯარო მოხელეებს ამარაგებდნენ, რითაც შოულობდნენ კიდეც საწყალობელ გროშებს. იქ გამეფებული მალარიის გამო, უკლებლივ ყველა მოჩვენებას ჰგავდა. რომელიმე მაღაზიაში თუ არავინ დაგვხვდებოდა, დავიძახებდით და ასე მოვიხმობდით მეპატრონეს, მაგრამ რამოდენიმეჯერ მეზობელი სახლიდან შემოგვხმიანებიან და უთქვამთ, რომ მეპატრონე ავადმყოფობის გამო იმჟამად ვერ მოგვემსახურებოდა.

კაპიტანმა კუტაიეფმა, რომელიც ცოტა იტალიურს ფლობდა და ომის დროს, წლების განმავლობაში რუსულ გემზე მსახურობდა, ინგლისის კონსულის, მისტერ კამერონის ქოხი დაგვითმო, რომელიც დროებით ქალაქიდან გამგზავრებულიყო და მისი არყოფნის დროს სახლი კაპიტნისთვის ჩაუბარებია. როგორც მეზღვაურებს სჩვევიათ, კაპიტანი კუტაიეფიც მხიარული და ხალისიანი კაცი იყო.

კონსულის სახლი ორი, ფაქტიურად, ცარიელი ოთახისგან შედგებოდა. მთელ ავლადიდებას ერთი მაგიდა და გრძელი სკამი წარმოადგენდა, რომლებიც ასევე საწოლის მაგივრობას გვიწევდნენ. ბარგი ამ უძვირფასეს რეზიდენციაში მოვათავსეთ და „სასტუმროსკენ“ გავწიეთ, კიდევ ერთი ქოხისკენ, რომელსაც მადამ ჟაკუ, პატარა ფრანგი ქალი, განაგებდა. იქ გამძვინვარებულ მალარიას მისი ლამაზი თვალების ბზინვარება ჯერ კიდევ ბოლომდე არ ჩაექრო. მან გულთბილად მიგვიღო. ამ გზაზე ევროპელ მოგზაურებს იშვიათად ხვდებოდნენ. იგი პარიზელი იყო და პარიზიდან თბილისში ქმართან ერთად ჩასულა, ბედის და სიმდიდრის საძიებლად. თბილისში რომ ვერ იპოვეს ნანატრი სიმდიდრე, ფოთს მიაშურეს, რადგან გაეგოთ ფოთში ახალი ნავსადგური უნდა გახსნან, გზები დააგონ და შენობები წამოჭიმონო. მადამ ჟაკუმ იფიქრა, ახალ ადგილას უფრო დიდი შანსი მექნება სიმდიდრის მოხვეჭისა და წარმატებისო. თბილისში გაყიდეს, რაც კი რამ ებადათ და ფოთს მიაშურეს, რომ იქ გაეხსნათ პირველი სასტუმრო. ვაგლახ! საწყალი, პატარა ქალი. ქმარს ციებ-ცხელება შეეყარა და მისგან

დიდი ხეირი არ იყო. თვითონაც სამჯერ შეჰყრია ავადმყოფობა. ზოგჯერ ავადმყოფსაც კი მოუწია სტუმრების მიღება და გამასპინძლება. ერთხელ, მაგალითად, რუს ინჟინერ-მექანიკოსებს დახვდა, რომლებიც გავლით იყვნენ ფოთში. ახლა კი იმედი გადასწურვოდა, რომ ამ ადგილას რაიმე ხეირს ნახავდა. ამ შფოთისა და განცდების მიუხედავად, მას სილაღე და მხიარულება შეენარჩუნებინა, რაც ალბათ თანდაყოლილი თვისება უნდა იყოს ფრანგ ქალებში. ენერგიულად მიდი-მოდიოდა, თავისი მცირე მუშტრების მცირე სურვილები რომ დაეკმაყოფილებინა. მხრებს იჩეჩდა. ქათინაურებს კეკლუცად იღებდა და თავადც იძლეოდა, თითქოს ისევ სანატრელ საფრანგეთში იყო. გრძელი, შავი, ლამაზი თმით თავი მოჰქონდა. იმ მცირე სურსათისგან, რაც მის მაღაზიაში ვნახეთ, მშვენიერი საუზმე და ვახშამი მოგვიმზადა, რომელსაც მისი იქ ყოფნა კიდევ უფრო აგემრიელებდა. ის გვიამბობდა თავშესაქცევ ამბებს თავისი გამოცდილებიდან იმ ქვეყანაზე, საითკენაც ჩვენ გეზი აგვეღო, და რომლის დატოვებასაც ის ახლა ძალიან ნანობდა. იმედი ჰქონდა, ქმრის გამოჯანმრთელებისთანავე დაბრუნდებოდა ევროპაში. ფოთის შემდეგ ევროპის ნებისმიერი ადგილი ახლა სამოთხედ მოეჩვენებოდა.

ფოთში ჩასვლისთანავე ჩვენი პირველი საზრუნავი იქიდან წასვლა გახდა. კუტაიეფს მივმართეთ „პადაროშნა“ ცხენები ეშოვა თბილისამდე. რამოდენიმე რუბლის საფასურად მართლაც დააკმაყოფილეს ჩვენი თხოვნა და იმასაც დაგვპირდნენ, მომდევნო ადრიან დილითვე მზად იქნებოდნენ კაზაკთა ცხენები. საღამოს დარჩენილი ნაწილი ქალაქისგან მოშორებით ხეტიალში გავატარეთ, რამდენადაც ჭაობი და ტალახი ამის საშუალებას გვაძლევდა. მას შემდეგ, რაც გამგზავრებისათვის ყველაფერი მოვაგვარეთ, მადამ ჟაკუსაც თბილად გამოვემშვიდობეთ და მთელი გულით ვუსურვეთ უფრო ბედნიერ ქვეყანაში გამგზავრება. შემდეგ ჩვენს რეზიდენციაში დავბრუნდით და სკამსა და მაგიდაზე გავიშალეთ საწოლები. მიუხედავად ბაყაყების ყიყინისა, რომელსაც ხანდახან ვირთხის წრუწუნიც ემატებოდა, გამთენიისას მაინც ჩაგვეძინა. ერთი ან ორი საათის გამოძინების მერე კი უკვე ფეხზე ვიყავით და მზად გამგზავრებისათვის. მაგრამ რამდენიმე საათის ლოდინის შემდეგ მოგვახსენეს, რომ ჩვენი ცხენები მხოლოდ საღამოს დაბრუნდებოდნენ, რაც იმას ნიშნავდა, რომ გზას მხოლოდ მომდევნო დილას გავუდგებოდით. მაშინ მივხვდით რუსული სიტყვის „სეიჩას“ მრავალმნიშვნელობას, რომელიც თუკი ლექსიკონში ნიშნავს „ამწუთას“, მთქმელისთვის შეიძლება „ახლავეს“ ანდაც „ათი დღის შემდეგ“ ნიშნავდეს. მაგრამ მოთმინების გარდა სხვა რა დაგვრჩენოდა. ჰოდა, ჩვენც დროს ვკლავდით ფოთში, როგორც შეგვეძლო. ერთადერთი, რამაც ჩვენი ყურადღება მიიპყრო იმ პირქუშ ადგილას გამეფებულ უკიდურეს მოწყენილობაში, ხბოს დაკვლა იყო, რომელსაც ცნობისმოყვარე ადგილობრივი მოსახლეობაც ესწრებოდა. კიდევ ერთი სადილი და ვახშამი მადამ ჟაკუსთან. მუსაიფი ჩვენს პატარა დიასახლისთან, რომელიც, მიუხედავად საკუთარი უბედობისა, მხნეობას არ ჰკარგავდა, კიდევ ერთი

ღამე მაგიდასა და სკამზე. საბოლოოდ, დილის შვიდ საათზე ცხენები მართლაც მოგგვარეს. ექვსი კაცისგან შედგებოდა ჩვენი კავალკადა, [11] კაზაკის ჩათვლით, რომელსაც სატვირთო ცხენების გაძღოლა ევალებოდა. ბოლო ცხენები წინა ცხენების ძუაზე მჭიდროდ იყვნენ თოკით გამობმულები. ჩვენ და გიორგი, ბერძენი ბიჭი, დანარჩენ სამ ცხენზე ვისხედით და სულ მალე კაზაკური უნაგირის გამო თავ-ბედს ვიწყევლიდით. უნაგირი უბრალო, ერთმანეთთან დაკავშირებული ხის ტოტებისგან შედგებოდა, რომლებიც ლათინური ანბანის V ასოს წააგავდა. უნაგირისთვის ყველა მხედარს საკუთარი სქელი, რბილი დასაგები ჰქონდა, რომელიც ცხენის ძუისგან შედგებოდა. იგი მხედრის საკუთრება იყო და სახელმწიფოს მიერ მომარაგებული ცხენის აღკაზმულობის ნაწილს არ წარმოადგენდა. შესაბამისად, ჩვენი ცხენებიც დასაგების გარეშე მოგგვარეს. რაც კი რამ რბილი სამოსი გვებადა, ყველაფერი უნაგირზე დავაფინეთ და თავს ვკიცხავდით მწარედ იმის გამო, რომ ტყუილად გვჯეროდა თითქოს ბაქოში ცხენის ევროპულ აღკაზმულობას შევიძენდით.

თავიდან გზა მდინარეს მიუყვებოდა. ხეები მოეჭრათ და უმეტესობა მორებად გამოეყენებინათ სახლების მშენებლობისას, ნაწილი კი დაეწვათ ან მდინარეში გადაეყარათ. ამგვარად, წყლის ნაპირას, დაახლოებით ოცდაათი იარდის სიგანის ტერიტორია მოეტიტვლებინათ და ჩვენ კუნძებს შორის ძალიან ნელა მივიწევდით წინ, რათა ბარგისმზიდავი ცხენები არ ჩამოგვრჩენოდნენ. ცოტა ხანში მიწა გაშრა, შავი მურყანი გაქრა თვალსაწიერიდან, მათ მაგივრად კი მუხა, წიფელა და იფანი გამოჩნდა. ველური ვაზი აღწევდა გზის კიდემდე, რომელსაც თავისი მასიური ყლორტები უხვად მოეფინა. ყველაზე მაღალი ტოტებიდან კი უზარმაზარი, სამოცი - სამოცდაათიოდე სიმაღლის, მტევნები გადმოკიდებოდა. შორიდან ტყე ისე მოსჩანდა, თითქოს ერთი უშველებელი, ცოცხალი მწვანე კედელი ყოფილიყოს. პერიოდულად, ტყიდან წამოიმართებოდა ველური ლეღვის ხე, ზღმარტლი. ანდაც, სხვა ხილის ხე. ბევრ ადგილას კი, როგორც შევატყეთ, ტყე შედგებოდა ჭადრის, წაბლის, კაკლის, დაფნის და ალუბლის ხეებისგან. ეს უკანასკნელი, მჯერა, ევროპაში სწორედ აქედან გავრცელებულა.

ამგვარი პეიზაჟი მოგვდევდა გზად კარგა მანძილზე, ვიდრე გურული გლეხის ფერმას არ ჩავუარეთ. იქ გაშენებული ინდური მარცვლეული თორმეტ ფუნტს აღწევდა სიმაღლეში. გაძვალტყავებული და მძვინვარე ღორების კოლტები კი, რომლებიც შესამჩნევად, მაგრამ ცოტათი ჩამორჩებოდნენ ველურ საქონელს, თავისუფლად დანავარდობდნენ სიმინდის მინდორში, რომელსაც გარს მოწნული ღობე ეკრა. ათი მილი გავიარეთ და პირველივე ფოსტასთან შევჩერდით, რათა ცხენები გამოგვეცვალა. ეს იყო წნელისა და ფოთლებისგან შეკრული თავლა, რომლის ბოლოში ქვის შენობა იდგა. აქ საკმაოდ დიდხანს შეგვაყოვნეს იმ მიზეზით, რომ ჩვენთვის განკუთვნილი ცხენები საფოსტო კარეტიდან ახალი დაბრუნებულები იყ-

11 ერთად მიმავალი ცხენოსანთა ჯგუფი (ფრ.).

ვნენ. იმ დღეს მხოლოდ მომდევნო ფოსტამდე ჩაღწევა მოვახერხეთ.

გზა ისევ მდინარეს მიუყვებოდა. ბუნებაც იგივე ჩანდა, მხოლოდ ფერმები აქ უფრო ხშირად გვხვდებოდა. ქვის სახლთან გავჩერდით, სადაც მდიდარ ადგილობრივ მოსახლეობაზე ბერკლისა და პერკინსის[12] ლუდს სამ შილინგად, იგივე ერთ რუბლად ჰყიდდნენ. ამას გარდა, იყიდებოდა იშვიათი საჭმელ-სასმელი, მაგალითად მწნილი, სოსისი და ამდაგვარი. მათი დრომორჭმული შესახედაობა განსაკუთრებულ ნდობას არ აღძრავდა, თუმცა ჩვენ მაინც ცდუნებამ გვძლია და რაღაცები ვიყიდეთ.

ფოთიდან დაშორებით, მეორე ფოსტაში გავჩერდით ღამის გასათევად. იატაკზე ინდური ლეიბი გავშალეთ. პატარა ოთახში, ჩვენთან ერთად თავად სახლის მეპატრონეც იყო, და კიდევ უამრავი რწყილი, ამიტომ რა გასაკვირია რომ, დილით, ხეირიანად გათენებულიც არ იყო, უკვე გასამგზავრებლად რომ გამოვეწყვეთ. ბუნება თანდათან იშლებოდა, კიდევ ორი ფოსტა გავიარეთ და მარანს მივაღწიეთ, ფოთიდან ორმოცდაათი მილის დაშორებით გაშენებულ კოლონიას. ფერმები აქა-იქ თუ შემოგვხვდებოდა კანტი-კუნტად. მიწა ამ ადგილებში ბარაქიანი იყო. დაუსრულებლად მეორდებოდა ინდური მარცვლეული: ფეტვი, ქერი და თამბაქო. ნებისმიერ ადგილობრივ მოსახლეს, ვისაც კი აქ დასახლება მოესურვებოდა, შეეძლო მიწის ნებისმიერი ადგილი აერჩია, რამოდენიმე ხე მოეჭრა და სახლი დაედგა. დანარჩენი მის გარჯასა და მოხერხებულობაზე იყო დამოკიდებული.

მარანის[13] მახლობლად ბევრი გაშენებული ადგილი შეგვხვდა. მინდორში მომუშავე ხალხიც მომრავლდა. ძირითადად ერთნაირი სამოსი ეცვათ. ბაწრით დამაგრებული თექის გამაშები, განიერი შარვლები და თეთრი პერანგები. თავზე აზიური ბეწვის ქუდები ეხურათ. ზოგიერთ მხედარს, რომელიც გზად შემოგვხვდა კაზაკური სამოსი ეცვა, მაგრამ განურჩევლად ყველას მოესხა „ბურკა“, იგივე გრძელი, სქელი თექის კაპიშონიანი მოსასხამი, რომელსაც წვიმის დროს თავზე წაიფარებდნენ ხოლმე. ეს მოსასხამები ძალიან თბილია და წყალგაუმტარი.

მდინარე რიონი, რომლის გასწვრივაც მივდიოდით, სამეგრელოსა და გურიას ერთმანეთისგან ყოფს. ეს უკანასკნელი სათავადაზნაურო იყო და თავადი დადიანი მართავდა, რომლის რეზიდენცია ზუგდიდში იყო, ფოთის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ფერდობზე გაშენებულ პატარა ქალაქში. ახლახან, რუსეთმა გადაიბარა ამ მხარის მართვა და თავადი დადიანი სანქტ-პეტერბურგში გადავიდა საცხოვრებლად. ნელი და ფრთხილი ნაბიჯებით ცდილობენ რუსები მმართველობის საკუთარი სისტემა დაამკვიდრონ, მაგრამ აქაურ წეს-ჩვეულებასაც ითვალისწინებენ. გლეხის მდგომარეობა აშკარად უკეთესობისკენ შეიცვალა. გლეხი ადრე ყმა იყო და ევალებოდა პირადი მომსახურებით და ნატურით ბატონისთვის ქირა, ხოლო თავა-

12 Barclay Perkins & Co. Ltd, ლუდსახარში კომპანია ლონდონში.

13 იგულისხმება ამჟამინდელ აბაშის მუნიციპალიტეტში მდებარე სოფელი მარანი.

დისთვის მოსაკრებელი გადაეხადა. ხშირად გადასახადებების აკრეფა კანონით არ რეგულირდებოდა და გლეხიც უსამართლოდ იჩაგრებოდა. რუსული მმართველობის დამკვიდრებისთანავე ნატურით გადახდა ერთჯერადი გადასახადით შეცვალეს. იმ შემთხვევაში, როცა მიწა გლეხის საკუთრებაში არაა, გადახდის ეს მეთოდი დამკვიდრდება. აქაურები ხვნისას ხარს იყენებენ. მათი საქონელი ძირითადად ღორებისგან შედგება, რომლებიც უზარმაზარ კოლტებს ქმნიან, და კიდევ, ცოტაოდენი ცხვრისგან. აქ მაგარ ღვინოს აყენებენ, და საჭმელად ღორის ხორცს, პურს, ყველს, სუნელებს და დოს მიირთმევენ. ხელფასი, ისე როგორც სხვა მეჩხერად დასახლებულ ქვეყნებში, აქაც მაღალია. ფოთში გვითხრეს, რომ საშუალო კვალიფიკაციის მუშა დღეში დაახლოებით ორმოც-ორმოცდაათ კაპიკს შოულობს. უფრო დაოსტატებული კი გაცილებით მეტს. სხვა მხრივ კი, რამდენადაც აქაურებმა ნაჯახის ხმარება მშვენივრად იციან, და თითქმის ყველა საცხოვრებელი ხისაა, სახლის აშენება ამ ადგილებში არც ისე მაღალ ხარჯებს მოითხოვს.

ქვეყანა სათემო პრინციპით იმართება. თითოეული ქალაქი ან ოლქი ირჩევს საბჭოს, რომელიც წყვეტს ძირითადად ყველა საშინაო საკითხს, მათ შორის გადასახადების შეგროვებას და ასევე აგვარებს უმნიშვნელო დავებს. სისხლის სამართლის დანაშაული, სიმძიმიდან გამომდინარე, ადგილობრივი მმართველობის დონეზე წყდება ან შესაბამისი ოლქის გუბერნატორთან იგზავნება.

უწინ, ჩრდილოეთელი და სამხრეთელი მუსლიმი მეზობლების გამუდმებული შემოსევებისგან თავი უკეთ რომ დაეცვათ, ადგილობრივი მოსახლეობა ძირითადად ქალაქებსა და გამაგრებულ სოფლებში სახლდებოდა. ახლა კი მთელი ქვეყნის მასშტაბით თავისუფლად მოძრაობენ. მაგალითად, ლაზები, შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე თურქეთის მთიან ტერიტორიაზე მცხოვრები მუსლიმი ხალხი, ხშირად შემოიჭრებოდნენ სამეგრელოსა და გურიაში, აქაურ ხალხს ააწიოკებდნენ და სძარცვამდნენ. იტაცებდნენ ახალგაზრდა გოგონებს სტამბოლის ბაზარზე გასაყიდად. მათ თარეშს ახლახან მოეღო ბოლო. რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, სწორედ ამან დაუდო საფუძველი გოგონების ადრეულ ასაკში გათხოვებას, რაც ახლა ასე გავრცელებულია ამ ადგილებში. საქმე იმაშია, რომ მუსლიმთა თვალში გათხოვილ ქალს ყოველგვარი ფასი ეკარგება. მოტაცებისგან როგორმე რომ დაეცვათ ქალიშვილები, ადრეულ ასაკშივე ათხოვებდნენ. რუსეთის ხელისუფლებას ჯერ არ შემოეღო სამხედრო სავალდებულო სამსახური კავკასიაში, ამიტომაც მოხალისეებს თუ არ ჩავთვლით, რუსეთის არმიაში ქართველებს ვერ ნახავდით.

სოფელი მარანი მდინარის მარჯვენა სანაპიროზე ლამაზად ჩამწკრივებული კოტეჯებისგან შედგებოდა. თითოეულ კოტეჯს გარს ბაღი ერტყა. რამოდენიმე, შედარებით უკეთესი რეზიდენცია რუსი მოხელეებისთვის იყო განკუთვნილი და კიდევ ერთი ეკლესია. მარნის თითქმის მთელი მო-

სახლეობა ევნუხებისგან[14] შედგება, რუსეთში გავრცელებული უჩვეულო სექტის წევრებისგან, რომლებიც ბიბლიის ზუსტ ინტერპრეტაციას იჩემებენ.

ბარონ ჰაქსტჰაუზენის[15] მიხედვით, ისინი სკოპცებად[16] იწოდებიან. ბიბლიასთან მიმართებაში საკმაოდ თავისებური იდეები აქვთ. მაგალითად, სჯერათ რომ ნამდვილი წმინდა წერილი პეტრე III-მ სანქტ-პეტერბურგში, წმინდა ანდრიას ტაძარში დამალა. თავად პეტრე III კი სინამდვილეში ქრისტეს განსახიერებაა. მართალია, ძე მამა ღმერთის ქვე მდგომია, მაგრამ იგი იყო მიძღვნილი და კურთხეული. ის ჯვარს არ უცვამთ, როგორც ამას ქრისტიანული ეკლესიები იუწყებიან. ქრისტე ახლაც ცოცხალია და დახეტიალობს ქვეყნად, უსქესო, ამა თუ იმ ფორმით. ამჟამად იგი პეტრე III-ში ჩასახლებულა, რომელმაც სიკვდილს ირკუტსკში, ციმბირში გაქცევით დააღწია თავი. იგი მალე დაბრუნდება და მოსკოვში, კრემლში ამაღლების ეკლესიის ზარებს დარეკს და ამით მოუხმობს ყველა სკოპცს. და მართლაც, მთელი მსოფლიოს სკოპცები შეიკრიბებიან და მისი მეთაურობით დაიწყება მათი მარადიული მმართველობა. კვირის ბოლო, მეშვიდე დღეს დასვენების დღედ არ აღიარებენ, ამიტომაც შაბათ საღამოს ისინი რიგ უჩვეულო ცერემონიებსა თუ რიტუალებს მისდევენ. მღერიან ჰიმნს. პეტრე III-ის ბევრი ფოტო აქვთ, რომლებზეც ის უქუდოდ, შავი წვერითა და ლურჯი ხიფთანითაა გამოსახული.სკოპცები გულმოდგინებითა და მკაცრი დისციპლინით გამოირჩევიან. სხვათაშორის, საკმაოდ ბევრს აქცევენ საკუთარ რჯულზედ. ნებისმიერი, რომელიც თორმეტ ახალ ადამიანს მოაქცევს მათ რჯულზე, მოციქული ხდება.

რუსეთში ისინი ადრეულად ოჯახდებიან და მხოლოდ ვაჟიშვილის შეძენის შემდეგ ხდებიან სექტის სრულუფლებიანი წევრები. სანქტ-პეტერბურგში, მოსკოვსა და სხვა დიდ ქალაქებში ბევრი ოქრომჭედელი და იუველირი მათი მიმდევარია. პოლიციის ამჟამინდელი ოფიციალური ცნობით, მათი რიცხვი ორ-სამ ათას აღწევს. წინათ, მათი რაოდენობა ისე გაიზარდა,

14 „ევნუხი“ ძვ. ბერძნ. სიტყვაა (εὐνοῦχος), რაც „სარეცლის მცვლელს“ ნიშნავს. იგულისხმება საჭურისი, დაკოდილი, კასტრაციაქმნილი მამაკაცი.

15 იგულისხმება გერმანელი მკვლევარი და მოგზაური, აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი ((1792-1866), რომელმაც 1843 წელს იმოგზაურა კავკასიაში. მოგვიანებით კი გამოიცა მისი მოგზაურობის ამსახველი წიგნი „ამიერკავკასია“ (იხ. აუგუსტ ჰაქსტჰაუზენი საქართველოს შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო გია გელაშვილმა. გამომცემლობა „არტანუჯი“, 2011)

16 სკოპცები რუსული მართლმადიდებელი ეკლესიისაგან დევნილ ერთ-ერთ ჯგუფს წარმოადგენენ, დუხობორების, მალაკნებისა და სხვა „რასკოლნიკების“ მსგავსად. ის მე-18 საუკუნის შუა ხანებში წარმოიშვა რუსეთში, თუმცა მალევე დაიწყო მათი დევნა, რაც იმპერიის უკიდურეს პროვინციებში, მათ შორის საქართველოში, გადასახლებას გულისხმობდა. დევნილი „რასკოლნიკებიდან“ პირველები საქართველოში სწორედ სკოპცები გადმოასახლეს, 1820-იანი წლების დასაწყისში. მათთვის გამოყოფილ იქნა ტერიტორია სოფელ მარანში, მოგვიანებით კი მათი ნაწილი კოდორშიც გადაასახლეს. სკოპცები, იგივე „საჭურისთა სექტა“, ეწეოდნენ ქალებისა და კაცების კასტრაციას და თვლიდნენ, რომ მხოლოდ ასე თუ შეიძლებოდა თანდაყოლილი ცოდვისგან განთავისუფლებულიყო მორწმუნე ადამიანი.

რომ მეფე ნიკოლოზის ბრძანებით სკოპცებს დასასჯელად კავკასიაში კატორღულ სამუშაოებზე ასახლებდნენ, სადაც ისინი სამხედრო ხელისუფლების განკარგულებაში იმყოფებოდნენ. მათი ნაწილი ასე მოხვდა მარანში. მას შემდეგ, რაც სახლები აიშენეს და საკუთარი დასახლებაც შექმნეს, სამუშაოც გამონახეს. საცხობში ჭვავის პურს აცხობენ, რაც იმ ოლქისა და არა მარტო, სამხედროების ძირითად საკვებს წარმოადგენს. ეს იყო მათი ძირითადი საქმიანობა, რომელსაც ჯერ კიდევ მისდევენ. ასევე, მდინარე რიონში ზუთხს იჭერენ და ყიდიან. ისინი კაპიტნის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, რომელსაც კიდევ ორი ან სამი ოფიცერი ემორჩილება. მთელ ქვეყანაში აფასებენ მათ გულწრფელობისათვის, სიფხიზლისა და წესიერი ქცევისთვის. დაახლოებით ორასორმოცდაათი სკოპცი იყო ქალაქში. ორ-ორად ცხოვრობდნენ თითო კოტეჯში. მათი ეზოები სათუთად მოვლილი და გაშენებული დაგვხვდა. უმეტესობა სავსე იყო ყვავილებითა და ბუჩქებით.

თავი V

ქართული სილამაზე - რთული გზა - იმერეთის დედაქალაქი - გერმანელი პოლიციელი - მეგრელი- ამიერკავკასიის სარწყავი - მდინარე მტკვარი - სურამიდან ბორჯომამდე - საქართველოს უძველესი დედაქალაქი - მეფეთა სამარხი - თბილისი - კომერციული აღორძინების მოლოდინი - პოლიგლოტი მოსახლეობა - გერმანელები - ვერცხლეულის წარმოება - სპარსული უბანი - ხიდები მდინარე მტკვარზე - ადგილობრივი წარმოების ღვინო - ბაზრები.

მარანიდან თბილისამდე უკვე კარგი გზა იწყებოდა, ამიტომ აქ დავემშვიდობეთ ჩვენს კაზაკურ ცხენებს, რომლებიც ერთი ოთახისა და სკამისგან შემდგარ საფოსტო ოფისში დარჩნენ გათენებამდე. გიორგი[17] ფრიად გაკვირვებული დარჩა მარანში ნანახით. ამბობდა - აქაურები შოტლანდიელებივით საუბრობენო. ვახშმად ცხვრის ხორცი და კარტოფილი სწორედ მისი მარიფათის შედეგი იყოო.

საღამოს პატივი გვხვდა წილად, საკუთარი თვალებით გვეხილა ნაქები ქართული სილამაზე. იქაური სახელმწიფო მოხელის მაღალი და ტანწერწეტა ქალიშვილი. მისი სილამაზე კიდევ უფრო მეტ ლაზათს სძენდა ჩინებულ ქართულ კოსტიუმს - მოქარგულ ქურთუკსა და წელში გამოყვანილ მოსასხამს, რომელსაც თან ერთოდა კიდევ ერთი ღია ფერის პატარა მოსასხამი. თავს ხავერდის გვირგვინი უმშვენებდა, რომელიც უხვად იყო შემკული ოქროს ორნამენტებით. ქალს, პატარძალივით, გვირგვინიდან გრძელი თეთრი მარლის პირბადე ეფინა მხრებამდე. ეს გემოვნებით ჩაცმული ქალიშვილი უაღრესად მშვენიერი იყო და სრულებით ამართლებდა საყოველთაოდ გავრცელებულ აზრს ქართული სილამაზის შესახებ. მოგვიანებით, უკვე თბილისში, გავიგეთ, რომ ეს გოგონა თავისი სილამაზით მართლაც მთელს საქართველოში ყოფილა განთქმული.

მომდევნო დილას (4 ივლისს) მარანი დავტოვეთ „ტროიკით“, იგივე „ტელეგით“, სამ ცხენიანი ეტლით. გიორგი ისევ წინ იჯდა, მეეტლის გვერდით. ჩვენ კი უკან მოვთავსდით, რამდენადაც ბარგი ამის საშუალებას გვაძლევდა.

მარანიდან ქუთაისამდე[18] გზა ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული. ჩვენს მეეტლეს, როგორც თავად გაგვიმხილა მოგვიანებით, ამ გზით არასდროს უვლია. რა გასაკვირია, რომ ხანდახან თავადაც კი არ ჰქონდა წარმოდგენა

17 ავტორის თანმხლები ადგილობრივი, დაქირავებული პირი

18 ქუთაისის აღსანიშნავად ავტორი იყენებს სახელწოდებას Kutais. წინა ეპოქის ტექსტებსა და რუკებზე კი ქუთაისი ძირითადად გვხვდება შემდეგი დასახელებებით: Cita, Kuteti, Cotatis, Chiutat.

საით მივყავდით, წამდაუწუმ გზა ებნეოდა, მერე ისევ სწორ გზას დაადგებოდა, მხოლოდ და მხოლოდ გამართლებისა თუ ინსტიქტის წყალობით. ერთხელ ისეც მოხდა, რომ ჯოხებისგან გადაწნული ღობე წამოიმართა ჩვენ წინ, რომელიც ინდური სიმინდის მინდორს ერტყა გარს. ჩვენმა მეეტლემ ცხენების შეკავება ვერ მოასწრო, ღობე წააქცია და სიმინდიც გადათელა. თუმცა, ეტყობოდა არც ცხენების დაშავების საფრთხე, და არც საცოდავი მინდვრის მეპატრონისთვის მიყენებული ზარალი დიდად არ აღელვებდა.

როგორც იქნა, გზაზე გავედით და საფოსტო შენობასთან გავჩერდით ცხენების შესაცვლელად. ასეთი წესია - ეტლი და ცხენები ყოველ საფოსტო შენობასთან უნდა ცვალო. რაც იმას გულისხმობდა, რომ ყოველ ჯერზე ჩვენი ბარგი ერთი ეტლიდან მეორეში უნდა გადაგვეტანა, რაც, სიმართლე გითხრათ, არც თუ ისე გვეხალისებოდა. ქუთაისში, რომელიც მარანიდან ოციოდე მილის დაშორებით მდებარეობდა, შუადღეს ჩავედით. აქედან არც ისე მოშორებით, ერთ-ერთ ციცაბო დაბლობზე ჩვენი ცხენები დიდი სიჩქარით დაეშვნენ თავქვე. გზად ერთი ხე იდგა. ორი ცხენი ერთ მხარეს წავიდა, მაგრამ მესამე ხის მეორე მხარეს, რის შედეგადაც აღვირის თოკი გაწყდა. ორი ცხენის გაჩერება მალევე შევძელით, მესამე კი, როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დამფრთხალი მომხდარით, იქვე გზისპირას გაჩერებულიყო. დღის დარჩენილი ნაწილი ქუთაისისა და შემოგარენის დათვალიერებას დავუთმეთ.

ქუთაისი, იმერეთის ყოფილი დედაქალაქი, მდინარე რიონის მარცხენა მხარესაა გაშენებული და რუსული პროვინციის მთავარ ქალაქს წარმოადგენს. თქმულების მიხედვით ძველი კოლხეთის ეს მნიშვნელოვანი ქალაქი მედეას სამშობლო ყოფილა. ქალაქი ახლა რუსულ და ძველ იმერულ ნაწილებადაა გაყოფილი. რუსულ ნაწილში სწორი და გრძელი ქუჩებია. ქვით ნაშენი მწვანე სახურავებიანი სახლები - დიდი და კოხტაა. ბაზრების ხის შენობები წაქცევის პირასაა. ქალაქში მშენებლობები უწყვეტად მიმდინარეობს და მთლიანად ქუთაისი მდიდარი და ცოცხალი ქალაქის შთაბეჭდილებას ტოვებს. იგი ლამაზად განთავსებულა მდინარის ნაპირას, გარშემორტყმული გორაკებით, რომელთა ნაწილი ვენახებით შეფენილა, ნაწილი კი პირველყოფილი ტყით.

ერთ-ერთი გორაკის თავზე, რომელიც ქალაქს ზევიდან გადმოსცქეროდა, ძველი ქრისტიანული ეკლესიის ნანგრევები შემორჩენილიყო თავზე დიდი ნახევარწრიული გუმბათით. მისი სიმაღლე ოც ფუტს არ აღემატებოდა, სიგანე კი - თორმეტს. ქვის უშველებელი ზომა, რისგანაც იყო აშენებული, იმაზე მიუთითებდა, რომ კონსტრუქცია უძველესი ხნის იყო. მდინარის მეორე ნაპირზე, ქალაქის მოპირდაპირე მხარეს მდგარ გორაკზე კი ძველი იმერეთის თავადთა ციხე-სიმაგრის ნანგრევები იყო, აგურის დიდი გროვა. იმავე გორაკზე ეკლესია იდგა. მშვენიერი შენობა. თავისი კონსტრუქციით, წრიული თაღოვანი ფანჯრებითა და ჭიშკრებით

რომაულ შენობას წააგავდა. მდინარეზე კიდევ ორი ხიდის ნანგრევი შემორჩენილიყო, ერთმანეთთან ისე ახლოს კაცი იფიქრებდა, ალბათ ზედა ხიდი ქვედა ხიდის დანგრევის შემდეგ ააშენეს, მის მაგივრადო. ხიდებს ჯერ კიდევ შემორჩენოდათ თაღები, ერთადერთი რაც წარსულ ომებს გადარჩენოდა.

კავკასიის პროვინციებს შორის ქუთაისი ცნობილია ქალების სილამაზით და ამართლებს კიდეც მინიჭებულ სახელს. ეროვნულ სამოსში გამოწყობილი ქალები და გოგონები საღამოობით ალაყაფის წინ სხედან ხოლმე, ანდაც აივანზე ან სახლის ბრტყელ სახურავებზე და მართლაც მათ შორის ძნელად თუ მოიძებნება უბრალო შესახედაობის ქალი. სწორი ნაკვთები. თვალები. წამწამები, წარბები და თმა კი ერთი ფერის - მუქი ყავისფერი. ასეთ დახვეწილ სიარულს მხოლოდ ესპანელ ქალებში თუ შენიშნავთ.

შარდენი[19] ჯერ კიდევ ორასი წლის წინ წერდა მათ სილამაზეზე, თუმცა სხვა ისეთ არასახარბიელო თვისებებსაც აწერდა, რომლებიც, იმედია, უკვე მოიშალეს. ის წერს: „მეგრელები კარგი ჯიშის ხალხია. კაცები კარგი აღნაგობის, ქალები - ლამაზები. გამომეტყველება დახვეწილი აქვთ, სახის ნაკვთები კი მიმზიდველი. ნებისმიერს მოაჯადოებენ მზერით. უცნაურად იცვამენ. თავსაბურავს ატარებენ, რომელიც მხოლოდ თავის ზედა ნაწილს ფარავს. ძალიან გონიერები არიან და ყველაფერს სწრაფად უღებენ ალღოს. უაღრესად ზრდილები, ქცევის წესებს მკაცრად იცავენ და ქათინაურებს არ იშურებენ. მაგრამ მათი ქალები მსოფლიოში ყველაზე ავები არიან. ყოყოჩები, კაპასები, გამცემლები, ორპირები, აჩხლები და ურცხვები. არ არსებობს სიავე, მათ რომ არ გამოემჟღავნებინათ. კაცებიც უხვად დაუჯილდოებია ბუნებას ავი ზნით. მათ კიდევ უარესი თვისებები ახასიათებთ. არ არსებობს ბოროტება, მათი ბუნება რომ არ ატარებდეს. ქურდობის გარეშე სიცოცხლე არ შეუძლიათ. ქურდობას მიმართავენ სწავლაში, სამსახურში, თავისუფალ დროს თუ დიდების მიღწევაში. მკვლელობა მათში სასიქადულო საქმედ და ვაჟკაცობად მიიჩნევა. და სხვა ყველა ნაკლოვანებებს შორის ეს სათნოება ჰგონიათ სამეგრელოში.“ და ბოლოს, მოხუცი მოგზაური, რომელმაც, როგორც ჩანს ყაჩაღებს სასწაულებრივად დააღწია თავი, ამატებს, “მთელ სამეგრელოში, ქალს თუ კაცს, მდიდარსა თუ ღარიბს თითო ხელი პერანგი და რეიტუზი აბადია მთელი ცხოვრება და ყველაზე მეტი სამჯერ თუ გარეცხავს.“

19 იგულისხმება ფრანგი ავტორი და მოგზაური, ჟან შარდენი (1643-1713), რომლის სპარსეთში მოგზაურობის წიგნი მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს მე-17 საუკუნის საქართველოს ისტორიის შესწავლისათვის. შარდენის მოგზაურობის საქართველოსთან დაკავშირებული მონაკვეთები არაერთხელ ითარგმნა ქართულ ენაზე, განსაკუთრებით აღსანიშნავია 2018 წელს, ილიას უნივერსიტეტის მიერ, გამოცემული გიორგი სანიკიძისა და მზია მგალობლიშვილის თარგმანი შესავალი წერილითა და კომენტარებითურთ. ის მოიცავს შარდენის მოგზაურობის 1811 წლის პარიზული გამოცემის პირველ, მეორე და მეცხრე ტომებს, რომლებშიც ყველაზე სრულად არის საქართველოსთან დაკავშირებული საკითხები წარმოჩენილი.

პატარა ბიჭებს კი ისეთივე მუსიკალური გემოვნება აქვთ, როგორც მათ თანატოლებს პარიზსა და ლონდონში და ხალისიანად ასრულებენ არიებს რიგოლეტოდან, რომელიც გასულ წელს დაუდგამთ თბილისის ოპერაში.

როდესაც სასახლის ნანგრევებიდან უკან ქალაქში ვბრუნდებოდით, გზად ლამაზ არაბულ ცხენზე მჯდარი ფორმიანი ოფიცერი შემოგვხვდა, რომელიც გერმანულად გაგვეცნო, როგორც პოლიციის უფროსი და უამრავი კითხვა მოგვაყარა - საიდან მოვდიოდით, საით მივდიოდით, რა საქმე გვქონდა, წერილები თუ მიგვქონდა და სხვა მრავალი. როდესაც გაიგო, რომ გუბერნატორისათვის, გენერალი ივანოვისთვის წერილი მიგვქონდა, შემოგვთავაზა წერილს თავად გავუგზავნი, რადგან გენერალი ახლა ქალაქში არააო. წასვლისას დაგვიბარა, თუ რამეში დაგჭირდათ დახმარება აუცილებლად მომმართეთო და დაგვემშვიდობა. არ დაიჯერა, რომ დედამიწის ამ გადაკარგულ მხარეში უცხოელები შეიძლება მხოლოდ დასათვალიერებლად ჩამოსულიყვნენ და ისე გაგვცილდა, სახეზე ჯერ კიდევ დაუკმაყოფილებელი ცნობისმოყვარეობა შერჩენოდა. სასტუმროს, სადაც გავჩერდით, მსუქანი გერმანელი განაგებდა. ეზოში რომ შევედით, ერთი საბრალო შესახედაობის უცხო კაცი გულმხურვალედ მიესალმა გიორგის და გადაეხვია. გაცვეთილი ჩერქეზული სამოსი ეცვა. ისეთი, მთიელებს რომ აცვიათ. გიორგიმ თავშეკავებული სალამი დაუბრუნა. ბინძური შესახედაობის უცნობი ბატონი მარი, შოტლანდიელი მეწარმის ვაჟი აღმოჩნდა, რომელმაც მრავალი წლის წინ თამბაქოს ქარხანა დააარსა მარანიდან არც ისე შორს, რომელსაც ჯერ ისევ სათავეში ედგა. ბატონ მარი უმცროსს, ინგლისურის ინჩი-ბინჩი არ გაეგებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ფრანგულსა და იტალიურს ფლობდა ბრწყინვალედ. სწორედ იმ პერიოდში თარჯიმნად მუშაობდა ფრანგ ინჟინრებთან, რომლებიც ფოთსა და თბილისს შორის დაპროექტებული რკინიგზის ნაწილს სწავლობდნენ, რომელსაც სისრულეში მხოლოდ მომდევნო საუკუნეში თუ მოიყვანენ ალბათ. ბატონ მარი უმცროსს ერთი ცუდი ზნე ჭირდა თურმე, დილის ხუთი საათიდან უკვე სმას იწყებდა, სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რატომაც მიესალმა გიორგი ასე თავშეკავებულად. მისთვის ეს თვისება ყოვლად მიუღებელი იყო. თუმცა, დღის მეორე ნახევარში სმის მიმართ თვითონაც არანაკლებ შემწყნარებლური ხდებოდა.

მეორე დილას ადრიანად გამოვემშვიდობეთ რიონსა და ქუთაისს, რათა გზას გავდგომოდით. მალევე ავუყევით დაბალ ფერდობს, რომელიც უმეტესად ბუჩქნარით იყო შემოსილი. მანამ ვიარეთ მათ შორის, სანამ მდინარეს არ გადავაწყდით. მის წყალს იქამდე ვსდიეთ, სანამ სათავემდე არ მიგვიყვანა ვიწრო ხეობის გავლით, რომელიც ადვილად შეიძლებოდა შოტლანდიური, ანდაც ირლანდიური ხეობა ყოფილიყო. იქაური ბუნება მოუვლელი იყო. ტყეში ხეებს ვაზი შემოხვეოდათ, როგორც ფოთის მახლობლად საცხენოსნო ბილიკზე. ხეობიდან უამრავი პატარ-პატარა ციხე-სიმაგრეების ნანგრევი მოჩანდა. ხშირტყიანი ხეობიდან, რომლის

გვერდები უშველებელ წიფელებს დაეფარა, შედარებით პატარა ნაკადულები გამოედინებოდა, რომლებიც საბოლოოდ ერთ მთავარ მდინარეში ჩაედინებოდა, რომლის სიგანე ზოგიერთ ადგილას მთებსაც კი წვდებოდა.

იმის გამო, რომ ფოსტის შენობებში ცხენების შოვნა ჭირდა, დაღამებამდე მხოლოდ სამოციოდე ვერსტი, გნებავთ, ორმოციოდე მილი გავიარეთ და რადგან ადრევე შევთანხმდით იმაზე, რომ ღამით არ გვევლო, გადავწყვიტეთ ერთ-ერთი ფოსტის შენობაში გავჩერებულიყავით ღამის გასათევად. იქ იძულებულები გავხდით, ღამით ტახტი რუსი ოფიცრის ცოლ-შვილისთვის დაგვეთმო, რომლებიც თბილისს მიემგზავრებოდნენ, თავად კი ღია ფარდულში დაგვეძინა დანარჩენ „იამშჩიკებთან“[20] ერთად. თუმცა, ამგვარი მგზავრობისას ჩვენი დაძინება ჩექმების გახდითა და უშველებელი ქურთუკების ჩაცმით შემოიფარგლებოდა, ამიტომაც ძალიანაც არ შევწუხებულვართ. ორ საათში კი ისევ გზას გავუდექით და მალე უღელტეხილის მწვერვალს მივადექით, რომლის მახლობლად მდიდარი ბუჩქნარი გადაგვეშალა თვალწინ. იქ იყო როდოდენდრონი, ჯუჯა დაფნა და მურტი, ყველა ერთად ამოზრდილი საოცარ სიუხვეს ქმნიდა, მრავალფეროვან ხალიჩას ტყის ხეებქვეშ, რომელსაც ნიადაგი სულ მთლად დაეფარა. სამწუხაროდ, ჩვენი მგზავრობა როდოდენდრონის ყვავილობის ხანას არ დაემთხვა.

დაკლაკნილი, მაგრამ მშვენივრად ნაგები გზით სწრაფად დავეშვით თავქვე სურამისკენ. მდინარე მტკვრის, ანდაც როგორც ძველად უწოდებდნენ „კურას“ ნაპირზე აშენებულ საფოსტო შენობასთან გავჩერდით. იქიდან გზა მდინარის გასწვრივ ბორჯომისკენ მიდიოდა, სამკურნალო წყლით ცნობილი საკურორტო დაბისკენ, რომელიც მეფისნაცვალ ბარიატინსკის გამორჩეულად საყვარელი საზაფხულო რეზიდენცია იყო. ქვეყნის მდიდარი მოსახლეობა სწორედ აქ აფარებდა თავს დედაქალაქის სიცხეს და რამოდენიმე თვის განმავლობაში, თურქეთის საზღვართან მდებარე ეს განმარტოებული სოფელიც სიამოვნებისა და ჯანმრთელობის მაძიებელი ხალხით გადაივსებოდა ხოლმე.

სურამში ციხე-სიმაგრის ნანგრევები ჯერ კიდევაა შემორჩენილი, ერთმანეთის შორი-ახლოს განლაგებული კოშკებით, რომლებიც თავდაცვის მიზნით აუშენებიათ. მდინარე მტკვარი სათავეს ყარსიდან არც ისე შორს იღებს. სურამის ბორცვებიდან, მისი დინება გრძელ მანძილზე, კასპიის ზღვამდე მდორე ხდება. მაგრამ სურამიდან სათავემდე ის მთის ნიაღვრებს უერთდება წყალდიდობისას, ფრიალო და კლდოვანი არხებით მთიდან ჩამომავალ ტალახიან წყლებს.

გზა სურამიდან ბორჯომამდე თვრამეტი მილის მანძილზე სულ მდინარეს გასდევს, გარდა რამოდენიმე ადგილისა, სადაც ის ცდილობს გვერდი აუაროს კლდეებს ან სხვა წინაღობებს. მდინარის ორივე მხარეს ხევის

20 იამშჩიკი, იგივე მეეტლე (რუს.)

ციცაბო ფერდობებია, რომელთა მსგავსიც წინა დღეს გამოვიარეთ, რომელიც მთიანი მხარის ხეობებისთვის დამახასიათებელია. სურამიდან რამდენიმე საათის სავალში მივაღწიეთ ბორჯომს, დაბალ ხეობაში განთავსებულ პატარა სოფელს, რომლის ქვემოთ ჩამომავალი ნაკადული მტკვარში ჩადიოდა. სახლები ძირითადად ხისგანაა ნაშენები, აქა-იქ ქვის სახლებიც გამოერეოდა. სასტუმრო, რომელშიც დავბინავდით, ყველაზე წარმოსადეგი შენობა იყო, მაგრამ შესახედაობით ბრიტანულ ღატაკთა თავშესაფარს მოგაგონებდათ, უვარგისი სახურავით, რაშიც თავად დავრწმუნდით ჩამოსვლის დღისთანავე. წვიმის ნაკადი სახურავიდან პირდაპირ ოთახის შიგნით გვასხამდა.

ბორჯომი გაშენებულია მდინარე მტკვარში ჩამავალი პატარა ნაკადულისა და მინერალური წყაროს შესართავთან.

დაბის ზემოთ, რამდენიმე ქვის კერძო სახლი ააშენეს და მთავარი და შემაერთებელი ხეობების გასვწრივ რამდენიმე კოხტა ბილიკიც გაიყვანეს. ჩვენი ვიზიტის დროს მეფისნაცვალი, თავადი ბარიატინსკი,[21] რომელსაც პატივი ერგო მეფის არმიაში ერთადერთი მარშალი ყოფილიყო, ასევე იქ იმყოფებოდა, და გამუდმებით საკუთარი ცხენით დაიარებოდა კაზაკი და ჩერქეზი დაცვის თანხლებით. მტკვრის ხეობის ფიჭვი მკვეთრად განსხვავდება ნაძვისაგან. იგი უფრო ტოტის გარშემო ამოსულ ეკალს ჰგავს, უფრო დაბალსა და მუქ მწვანეს.

ბორჯომში რამდენიმე დღე დავყავით და ვეცადეთ შეძლებისდაგვარად ყველაფერი დაგვეთვალიერებინა. 10 ივლისს, დილით ისევ გზას გავუდექით, სწრაფად ჩავიარეთ ხეობის დაღმართი და სურამის მთავარ გზას დავადექით. მდინარე მტკვარს მივუყვებოდით გორამდე, სადაც ღამე გავათიეთ. ქალაქში შესვლამდე მდინარე გადავჭერით. თვითონ ქალაქი მდინარის მარცხენა მხარესაა განლაგებული. ხიდის მაგივრობას პატარა ნავი სწევდა, რომლის წყალქვეშა საჭე ნაპირებს შორის გაბმულ თოკზე იყო მიმაგრებული.

გორი ფართო დაბლობებს შორის აღმართული მაღალი ციცაბო ბორცვის ძირშია გაშენებული. გარშემო უამრავი უზარმაზარი ციხე-სიმაგრის ნანგრევია, რომელთა გარეთა კედლები ჯერ კიდევ კარგადაა შემონახული. ბორცვის ძირში პატარა ნაკადული ჩამოედინება, რომლის ნაპირები უხვად დახუნძლულა მომცრო დასახლებებითა და სოფლებით. აქაური მიწა ნაყოფიერია. ქალაქიდან დაკლაკნილი გზა ციხე-სიმაგრემდე მიდის. მაგრამ იქ შეშვებაზე კაზაკმა უარი გვითხრა. გზაზე კედლებიდან ჩამოცვენილი ქვები ეყარა, რომლებსაც ქალაქში სახლების საშენი მასალის კარიერებად იყენებდნენ. ნანგრევებიდან ქვევით დაშვებისას შევამჩნიეთ, რომ საეკლესიო წირვა-ლოცვისას სომეხ ქალებს კაბების ზემოდან თეთრი სუდარა შემოეხვიათ, რაც ასეთ

21 რუსი გენერალი ალექსანდრე ბარიატინსკი (1815-1879) კავკასიაში მეფისნაცვლის მოვალეობებს ასრულებდა 1856-1863 წლებში.

უცნაურ სამოსს შეუჩვეველი თვალისთვის ერთობ უჩვეულო სანახაობა იყო.

სომხები გორის მოსახლეობის საკმაოდ დიდ ნაწილს წარმოადგენენ. გორი მდიდარი და აყვავებული ქალაქია, საიდანაც კავკასიონის ულამაზესი ხედები მოჩანს - მწვერვალები იალბუზი და ყაზბეგი. ადგილობრივი თქმულების მიხედვით, სწორედ იალბუზის წვერთან შეჩერებულა ნოეს კიდობანი, აქედან კი არარატისკენ გაუცურავს. მის მწვერვალზევე იყო მითოლოგიური პრომეთე გაუმაძღარი სვავის ნისრკარტისა და ბრჭყალების საჯიჯგნად კლდეზე მიჯაჭვული. სურამიდან გორამდე, მთელ მანძილზე მარცხენა მხარეს გადამხმარი, გადამწვარი და უნაყოფო მთები მოგვდევდა, მარჯვენა მხარეს მართალია პატარა მანძილზე ხეები და სიმწვანე გამოერია, მაგრამ ესეც დანარჩენის მსგავსად ხრიოკად გამოიყურებოდა, განსაკუთრებით როდესაც სიცხემ დააჭირა. მცირე ჩრდილიც კი არ იყო, თავი რომ შეგვეფარებინა. ოღრო-ჩოღრო გზაზე ტელეგას გაუთავებელი რწევა კიდევ უფრო ამძიმებდა ჩვენს ტანჯვას. გორში პატარა ღამისგასათევი ადგილი ვნახეთ, სადაც ბალიშებსაც კი იძლეოდნენ დასაძინებლად. მთლიანობაში ამ ქალაქში ცხოვრება ყვავის და საოცარია, რატომ აირჩიეს თბილისი ქვეყნის დედაქალაქად, როცა გორს ყველა თვისება გააჩნია, ეს საპატიო ტიტული რომ ეტარებინა.

გორიდან მეორე დილას გავემგზავრეთ. ისევ გადავკვეთეთ მდინარე, ახლა საპირისპირო მიმართულებით, გადავედით მის მარჯვენა სანაპიროზე, რომელიც ორივე მხრიდან მზით გადახრუკული ბორცვებით მოსაზღვრე მდელოს გასდევდა მცხეთამდე.

ერთ დროს ქართველ მეფეთა უძველესი რეზიდენცია და სამეფოს დედაქალაქი მცხეთა ახლა ერთი უსახური დაბაა. გარდასულ ბრწყინვალების ნაშთად კი ერთადერთი, ეული ეკლესიაღა შემორჩენია.[22]

ეკლესიას გარს კედელი არტყია, მის იქით კი სოფელია გაშენებული. საქართველოს ბევრი მეფე დაუსაფლავებიათ აქ. მათი მეფედ კურთხევაც აქ შემდგარა. ამავდროულად, საქართველოს კათალიკოსის რეზიდენციასაც წარმოადგენს. თავდაპირველი ეკლესია თემურ-ლენგს გაუნადგურებია, ახლანდელი მომწვანო ქვისგან აუშენებიათ. იასამნისფერ ხავერდის ანაფორაში გამოწყობილმა მოხუცმა მღვდელმა ეკლესიის დათვალიერების უფლება მოგვცა. შუაგულში დაედგათ საქართველოს უკანასკნელი ორი მეფის საფლავი, იქვე იყო ტროტუარის სიმაღლეზე ბევრი თავად-აზნაურის საფლავიც. ზოგიერთი საგვარეულო აკლდამა შენობის ინტერიერის ნაწილს წარმოადგენს. ერთ-ერთი ასეთი ბოლო დაკრძალვა გასულ თვეს შემდგარიყო. თავადი ორბელიანი, რომელიც ჩერქეზებთან ბრძოლაში მოუკლავთ სწორედ აქ დაუსვენებიათ, მის საგვარეულო აკლდამაში. ეკლესია მე-11 საუკუნეში აუშენებიათ და მე-15 საუკუნეში აღუდგენიათ, თემურ ლენგის შემოსევის შემდეგ.

22 ავტორი სვეტიცხოველს გულისხმობს

თბილისის დამფუძნებელი, მეფე ვახტანგის სამარხი გუმბათისებურია, ბიზანტიურ სტილში ნაგები. ბერძნული ჯვრის ფორმის ეკლესია ძალზედ მორთულია, ფანჯრის კიდეები კი ნატიფად და უცნაურად მოჩუქურთმებული. ეკლესიის სამხრეთ კართან ქვაში გამოყვანილმა ხელმა და მკლავმა მიიქცია ჩვენი ყურადღება, რომელსაც მასონის კვადრატი ეჭირა. მღვდელს მისი მნიშვნელობა ვკითხეთ. დასავლეთიდან ჩამოყვანილ არქიტექტორს გაუკეთებია ეკლესიის დასრულებისას მასონური სიმბოლოს მსგავსად.

ეკლესიის ფასადს დეტალურად დამუშავებული კარნიზი გასდევს ირგვლივ. დასავლეთის ფანჯრების ზევით კი, სახურავის ქვემოთ, ბარბაროსული ფიგურაა გამოქანდაკებული, რომელიც ცხოველებთაგან ყველაზე მეტად ლომს წააგავს. ეკლესიის გარდა, შემოღობილ ადგილას, რამოდენიმე ძველი ხის აივნებიანი შენობა იდგა, სადაც ეკლესიაში მსახური მღვდლები ცხოვრობდნენ. მთლიან კომპლექსს შემოვლებული მაღალი კედელი კიდევ უამრავი კოშკითაა გამაგრებული, რაც მთლიანობაშო აქაურობას ერთ უშველებელ ციხე-სიმაგრედ აქცევს. ამიტომაცაა, რომ აქაურობას ხშირად აფარებდნენ თავს თურქებისაგან და სპარსელებისაგან აწიოკებული მომიჯნავე სოფლის მოსახლეობა. ამჟამად კოშკები ჩამონგრეულია, სოფელი მოსახლეობისგან მიტოვებული, ეკლესია ეულად დგას, ისიც უკვე ძველი და ხელშესავლები, და მხოლოდ მისი სიდიდე და აქა-იქ შეჩენილი დიდებულება მიანიშნებს მცხეთის გარდასულ მნიშვნელობაზე.

გადავიარეთ ქვის ხიდი მდინარე არაგვზე, რომელიც აქაურთა თქმით ჯერ კიდევ რომაელთა ხანაში აუშენებიათ. მალე გამოჩნდა კლდიანი მთის ძირში მომწყვდეული თბილისი[23] და ფრიალო ნაპირებს შორის სწრაფად მავალი მდინარე.

უცხოელი მოგზაურისთვის ძნელად გასარკვევია, რატომ აირჩიეს ეს ადგილი დედაქალაქად. თითქოს იგი მნიშვნელოვანი ქალაქის ყველა მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს. თანაც, მის ზომას და მნიშვნელობას თუ გავითვალისწინებთ, თავად ქალაქი უბადრუკი შესახედაობისაა. ქალაქში დასავლეთიდან, რუსული მხრიდან შევედით, გრძელი ქუჩით,[24] რომელზეც ევროპული შესახედაობის დიდი, ყვითელ ბათქაშიანი სახლები იდგა. მიუხედავათად იმისა, რომ ქუჩის ორივე მხარეს რამოდენიმე მაღაზია, კაფე, საჯარო შენობა და გუმბათიანი ეკლესია შევამჩნიეთ, ქუჩა მაინც მოუკირწყლული და მტვრით სავსე იყო იქ, სადაც ღორები იქექებოდნენ ქატოს პოვნის იმედით, ანდაც უბრალოდ მზეს ეფიცხებოდნენ. რამოდენიმე ამდაგვარი ქუჩის გავლის შემდეგ, ქუჩები ნელ-ნელა დავიწროვდა და

23 თბილისის აღსანიშნავად ავტორი იყენებს სახელწოდებას Tiflis, რაც მე-19 საუკუნეში ერთობ გავრცელებულ ფორმას წარმოადგენდა. ადრინდელ ტექსტებსა და რუკებზე კი, Tiflis-ის გარდა, ასევე გვხვდება Teflis-ი და Thephlis-ი, მართლწერის სხვადასხვა ვარიაციებით.

24 ავტორი სავარაუდოდ გოლოვინის, ამჟამინდელ რუსთაველის პროსპექტს გულისხმობს.

გამოჩნდა მრავალფეროვან - ჩერქეზულ, სპარსულ, თათრულ, სომხურ და ქართულ სამოსში გამოწყობილი ხალხი. აქა-იქ ევროპული შავი პალტოები გაერეოდა ხოლმე, განიერი შლაპები და რუსული უნიფორმა. ასე მივედით სასტუმრო „კავკაზამდე“,[25] რომელსაც ფრანგი მონსენიორი გილიომი მართავდა. მისი მეუღლე თავადი ბარიატინსკის სეფექალი ყოფილა. ქუჩის მხრიდან თაღოვანი შესასვლელით სასტუმროს ეზოში აღმოვჩნდით, რომელსაც თორმეტიოდე ფუტის სიმაღლეზე, ირგვლივ ხის აივანი ერტყა, ის აივანზე გამომავალ საძინებელ ოთახებს შორის კომუნიკაციის საშუალებადაც გამოიყენებოდა. სასტუმრო, იმ ეგრედ წოდებული შენობის მხოლოდ პირველ სართულს იკავებდა.

ყველა, ვისაც კი საშუალება ჰქონდა, ქალაქის სიცხეს გაქცეოდა, ქალაქიდან გასულიყო. ამიტომაც, სასტუმროში ოთახები თავისუფალი დაგვხვდა, თანაც სუფთა და კომფორტული. არც მკბენარებს შევუწუხებივართ, რაც ასე დამახასიათებელია ცხელი კლიმატისთვის. ვახშმად საჭმელი შეგვეძლო მენიუდან შეგვეკვეთა, რასაც დახელოვნებული ფრანგი მზარეული არც თუ ისე ძვირად გვიმზადებდა, იმის გათვალისწინებით, რომ ყველაფერს რასაც ამ ქვეყანაში უცხოელი შეუკვეთავს, ცეცხლის ფასი ადევს.

ათას ოთხასი წელია, რაც თბილისი საქართველოს სამეფოს დედაქალაქია, რომელიც თავის მხრივ, ორი ათას ორას წელს ითვლის. ისტორიის მიხედვით, მონარქთა ხუთი დინასტია ენაცვლებოდა ერთმანეთს, რომელთაგან უკანასკნელნი, ბაგრატიონები, გადმოცემით დავით წინასწარმეტყველის შთამომავლები არიან. პირველი ბაგრატიონი ტახტზე ახ. წ-ით 575 წელს ასულა და დინასტიას ტახტი საუკუნის დასაწყისამდე შეუნარჩუნებია, ვიდრე მისმა უკანასკნელმა მმართველმა სამეფო რუსეთის მეფეს არ ჩააბარა. ბაგრატიონები ცოტა ხანს სომხეთშიც მეფობდნენ, სადაც ქალაქი ანისი გაუშენებიათ, რომელიც მოგვიანებით თემურ-ლენგმა მიწასთან გაასწორა. ხან სპარსეთის შაჰების ძალაუფლების აღიარებით, ხანაც კი წინააღმდეგობით, ქართველმა მეფეებმა მიუხედავად ურიცხვი ომებისა, ასე თუ ისე, მოახერხეს სამეფოს ერთიანობის შენარჩუნება.

მის მოსახლეობას კი, რომელმაც ჯერ კიდევ ადრეულ ხანაში მიიღო ქრისტიანობა, მუდმივად თავის დაცვა უწევდა ჩრდილოეთით მომთაბარე ტომებისგან და სამხრეთით თურქებსა და სპარსელებისგან, რომლებიც რელიგიური მტრობისა თუ ძარცვა-გლეჯვის მიზნით ხშირად ესხმოდნენ თავს საქართველოს. მიუხედავად ყველაფრისა, თბილისი, როგორც ევროპისა და აზიის დამაკავშირებელი პუნქტი, მუდამ ინარჩუნებდა მნიშვნელობას, მაშინაც კი როცა ევროპა-აზიის დამაკავშირებელი ალტერნატიული გზები გაჩნდა. მისი მოსახლეობა იმედოვნებს, რომ კასპიისა და ვოლგისპირეთში რუსეთის საზღვაო ფლოტის გამო, რომელიც ამჟამად სხვადასხვა ზომისა და სიმძლავრის ას ორმოცდაათამდე გემს ითვლის,

25 სასტუმრო „კავკაზი“ 1858 წელს გაიხსნა, ის ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე მდებარეობდა და ამ ეპოქის თბილისის ერთ-ერთ საუკეთესო სასტუმროდ იყო მიჩნეული.

და კიდევ ფოთსა და ბაქოს შორის, შავი ზღვისა და კასპიის ზღვის სანაპიროს გასწვრივ რკინიგზის პროექტის გამო, ქალაქი კვლავ დაიბრუნებს უწინდებურ სავაჭრო მნიშვნელობას. და მართლაც, აღნიშნული რკინიგზა რომ გაიყვანონ და რუსეთმა ვაჭრობის წამახალისებელი ლიბერალური პოლიტიკა რომ გაატაროს, სპარსეთთან და ცენტრალურ აზიასთან დამაკავშირებელი ეს მართლაც უმოკლესი გზა დასავლეთის ამ რეგიონებთან ვაჭრობის მთავარი გამტარი პუნქტი იქნება. სპარსული ბამბა და თათრული მატყლი სწორედ ამ გზით ჩააღწევდა დასავლეთის ბაზრებამდე. აღმოსავლური საქონლით სავსე მატარებლები ივლიდნენ იმ გზაზე, ახლა მოზვერშებმული ურმები რომ ჭრიალებენ საწყალობლად.

თბილისის მოსახლეობა მრავალფეროვანია.[26] ადგილობრივი ქართველების გარდა, იგი სომხებისგან, სპარსელებისგან, თათრებისგან,[27] რუსებისა და გერმანელებისგან შედგება. ამ უკანასკნელებმა დასავლეთით გარეუბანში, მდინარის თავზე კოლონია დააარსეს და მათი კოხტა და მშვენივრად აგებული სახლების, ხილის ხეებისა და კარგად მოვლილი ვენახის შემხედვარე ყველა მიხვდება, რომ აქაურ მოსახლეებს არაფერი არ უჭირთ.[28]

1818 წელს რელიგიის გამო, ძირითადად ვიუტემბერგიდან გადმოხვეწილი გერმანელები რუსეთის ხელისუფლებამ გულთბილად მიიღო და ოდესის მახლობლადაც დაასახლა, მაგრამ მალე მათივე თხოვნით თბილისის შემოგარენში მიუჩინა ადგილი, სადაც მშვენივრად მოიკიდეს ფეხი, ზოგიერთმა მათგანმა დიდი სიმდიდრეც კი დააგროვა. ძირითადად პროტესტანტები არიან და არასოდეს არავის შეუწუხებია რელიგიური მრწამსის გამო. სასულიერო პირებს თავად ირჩევენ და მხარს უჭერენ. სწორედ გერმანელებს უნდა უმადლოდნენ აქაურები გუთნისა და ორთვალის შემოღებას, რომელიც ბევრად სჯობდა იმას, რასაც მანამდე იყენებდნენ ამ ქვეყანაში. მათ ჩამოსვლამდე ყველა სამეურნეო იარაღი ძალზედ პრიმიტიული იყო. ალბათ იმის გამო, რომ ქალაქთან ასე ახლოს ცხოვრობენ, ანდაც იმიტომ, რომ მათი მოსავალი ყველას სჯობს, თბილისის ხილეულობასა და ბოსტნეულობაზე მონოპოლია აქვთ. ჯერ კიდევ გერმანულ კოსტიუმსა, ლურჯ კიტელსა და ბრტყელ, წყალგაუმტარ ქუდებში გამო-

26 აღსანიშნავია, რომ 1876 წლის აღწერის მიხედვით, აშერის მოგზაურობიდან დაახლეობით ცამეტი წლის შემდეგ, თბილისში უმრავლესობას სომხები შეადგენენ 37,308 ადამიანით. სხვა ეთნოსთა სტატისტიკური მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება: ქართველები: 21,623; რუსები: 19,574; გერმანელები: 2,005; თათრები და თურქები: 2,310; სპარსელები: 1,692; პოლონელები: 1,592; ებრაელები: 1,145; ბერძნები: 388; ოსები: 293; ფრანგები (იგულისხმება ზოგადად ევროპელები): 267, სხვა: 1354.

27 ამ ეპოქაში თათრებად ძირითადად მოიხსენიებდნენ თურქულენოვან, მუსლიმ მოსახოებას.

28 გერმანელების ჩამოსახლება საქართველოში 1817 წლიდან იწყება, მათი დიდი ნაწილი ვიუტენბერგელი შვაბები იყვნენ. დასახლებები, ანუ კოლონიები, შეიქმნა როგორც თბილისში, ასევე სამხრეთ საქართველოში. მათ შორის აღსანიშნავია ნოი-ტიფლისი (აღმაშენებლის გამზირის მიმდებარე ტერიტორია), კატარინენფელდი (ბოლნისი), მარიენფელდი (სართიჭალა), ელიზაბეტთალი (ასურეთი) და სხვა.

წყობილებს, პირში გრძელი, ჩინური თასით მოხატული ჩიბუხგაჩრილებს კაცი ადვილად გამოარჩევს დანარჩენებისგან.

ჩამოსვლიდან მეორე და მესამე დღეს ძლიერი სიცხე დაიჭირა, ისე რომ ტემპერატურამ 110 ფარენჰეიტს მიაღწია და სასტუმროდან მხოლოდ ოთხიდან შვიდ საათამდე გავდიოდით ძირითადად ქალაქის ქუჩებსა და ბაზრებში სახეტიალოდ. ქალაქის ერთი, დასავლური ნაწილი თანამედროვეა, რუსულ ყაიდაზე გაშენებული, მობათქაშებული, ყვითლად შეღებილი. მეორე ნაწილი იმავე მდგომარეობაშია, როგორშიც იყო ადგილობრივი თავადების ხელში. ვიწრო და ოღრო-ჩოღრო ქუჩებს ქვაფენილიანი ძლივს ეთქმის.

აზიური შესახედაობისაა ღია მაღაზიები, რომელთა წინ ხალიჩიან იატაკზე სომეხი მეპატრონეები ფეხმორთხმით დამსხდარან. სხვა აღმოსავლური ქალაქების მსგავსად, ვაჭრებს აქაც ერთად მოუყრიათ თავი: ტრიკოტაჟის გამყიდველებს, მჭედლებს, მეწაღეებს თუ მეხალიჩეებს. ოქრომჭედლებს მთლიანი ქუჩა დაუკავებიათ. სადნობი ტიგელისა და საბჯენი ღეროს, ლითონსაჭრელი მაკრატლისა და ჩაქუჩის საშუალებით ვერცხლის სამკაულებს ქმნიან, რომლებსაც როგორც ქალები, ასევე კაცებიც ატარებდნენ. მოზაიკებით ამკობენ და ვერცხლში სვამენ მშვენიერ ხმლებს, იგივე შაშკას[29] და ხანჯლებს, რომლებსაც ქვეყანაში მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელი ატარებს. რუსმა ოფიცრებმა კავკასიაში ამგვარი შაშკები არჩიეს მოუხერხებელ დაშნებს. მას მარჯვენა მხარზე თხელი ტყავის ღვედით ჩამოკიდებულს ატარებენ, რომელიც ვერცხლითაა შემკობილი. ჩვენთვის გამოფენილი ზოგიერთი სამკაულისა და იარაღის უზადო ნამუშევარმა და დახვეწილმა გემოვნებამ უზომოდ გაგვაკვირვა. საკუთარი თვალით რომ არ გვენახა, როგორ იქმნებოდა სამკაულები იმ უხეში იარაღებით პირდაპირ ჩვენ თვალწინ, ალბათ ვერ დავიჯერებდით.

ჩვენი სასტუმროს მოპირდაპირედ უზარმაზარი აგურის შენობა იდგა, რომლის შიგნით თეატრი იყო განთავსებული, პირველ და ზემო სართულებზე კი - მაღაზიები. ფართო და მაღალჭერიანი მაღაზიები, რომლებიც ძირითადად სომხებს ეკუთვნოდა. ევროპული საქონლით, ბამბით და სამოსით გადავსებულიყო. ყველაფერს არნახული ფასი ედო, ალბათ 100 პროცენტით მეტი, ვიდრე იგივე საქონელი ევროპაში ეღირებოდა, მაგრამ ალბათ იმ უსაშველოდ გრძელ გზას თუ გავითვალისწინებთ, რასაც ისინი გადიოდნენ საქონლის ჩამოსატანად, ფასი მიუღებლად დიდი აღარ მოგეჩვენებათ. თანაც, როგორც წესი, გამყიდველები იმაზე ნაკლებ თანხას თანხმდებიან, ვიდრე თავიდან მოითხოვეს. კარგად ნაცადი ხრიკია, უკმაყოფილო მყიდველს ჯერ გარეთ გასვლას დააცდიან, მერე კი კვლავ მო-

29 ავტორი მოიხსენიებს schask-ის სახელწოდებით, იგულისხმება ხმლის ერთ-ერთი ნაირსახეობა. სახელწოდება კი ჩერქეზული წარმოშობისაა. კავკასიაში ხმლის ეს სახეობა დიდი პოპულარობით სარგებლობა, საქართველოში კი მას ძირითადად „ლეკურის“ სახელწოდებით იცნობდნენ.

აბრუნებენ, რათა მისაღები ფასი შეეკითხონ და უმეტესად შეთავაზებულ ფასს თანხმდებიან, იმაზე მეტად ნაკლებიც რომ იყოს, რაც თავად დააფასეს.

ჩვენი იქ ყოფნისას, თბილისს იტალიური ოპერა ეწვია, და გადავწყვიტეთ წავსულიყავით. ჩვენდა გასაკვირად, ქართული თეატრი[30] დიდი გემოვნებით შემკული იყო, თეთრ და ოქროსფერ ფერებში. ოპერა Crispino e la Gomara ბრწყინვალედ დადგეს. დამსწრე საზოგადოება მრავალგვარი კოსტიუმების უჩვეულო ნაზავს წარმოადგენდა: ელეგანტური სპარსელები ზეთწასმული და სუნამონაპკურები წვერით აბრეშუმის სამოსსა და გრძელ ასტრახანულ ქუდებში, მეზობელი მეგობრული ტომების ზერქეზები, თავიანთი ცხვრისტყავის ქუდებით, ნაქარგი ალისფერი ზედატანებით და მორთულ ქარქაშებში ჩასმული გრძელი ხმლებით, სომხები ნარნარა ხალათებში და ქართველები მათ ულამაზეს კაბებში მხრებზე დაშვებული ვუალებით, ფორმიანი რუსი ოფიცრები და მათი ცოლები ყველა ერთმანეთში არეულიყო და უცნაურ სანახაობას ქმნიდა. შენობას ორი შუშაბანდი ერტყა, სადაც ნაირგვარ ფერად ქართულ კაბებში გამოწყობილ ქალებს მოეყარათ თავი, რომელთა ენითაღუწერელი სილამაზე ხანდახან პირბადის მიღმა გაიელვებდა ხოლმე.

სპარსული დასახლება ქალაქის აღმოსავლეთ ნაწილშია. პატარა და ბინძურია, სახლები უბადრუკი შესახედაობის. აღმოსავლური ყაიდის მიხედვით ყველა ფანჯარა ქუჩის მაგივრად სახლის შიდა მხარეს გადის. აქ ჯერ კიდევ შემორჩენილა სპარსული აბანოები, ზოგიერთი მათგან ყველა ფენისთვის ღიაა, და შიიტური მრწამსის მკაცრი დამცველები უწმინდურ ქართველებსაც კი უშვებენ თავიან აბანოებში. მტკვარზე გადებული ხიდები ქალაქს იქითა მხარეს მდებარე გარეუბანთან აკავშირებს. ერთ -ერთი მათგანი, ფრიად მშვენიერი ნაგებობის ხიდი, რუსებს აუშენებიათ. მეორე, ძველი, წინა ეპოქიდან, ვიწროა მაგრამ მყარად ნაგები.

მდინარის ნაპირები ძალიან დახრილია და პერპენდიკულარულად იწევს ზევით წყლის დონიდან სადღაც ოთხმოც-ას ფუტის სიმაღლეზე.

ქვედა ხიდთან, სადაც მდინარე მტკვარი მიმართულებას იცვლის, უშნო მაღლობია გადმოკიდებული, რომლის ზემოთ კლდიანი კუნძული მოჩანს, გასაცოდავებული, დანგრევის პირას მყოფი სახლებით, რომელიც თითქოს სადაცაა მოწყდება და წყალში ჩავარდებაო. ამ ადგილას მდინარეს ორი, თითქმის ერთმანეთზე ნაგები, მოძველებური ხიდი კვეთს. მოპირდაპირე მხარეს, ხიდიდან ოდნავ დაშორებით ძველი ბაზარია ხის სახურა-

30 ოპერის თეატრი, რომელსაც აშერი აღწერს, გახლდათ თბილისის ძველი ოპერა. ის იტალიელმა არქიტექტორმა, ჯოვანი სკუდიერიმ დააპროექტა და მდებარეობდა ამჟამინდელ თავისუფლების მოედანზე. მისი ინტერიერი კი მოხატული იყო რუსი მხატვრის, გრიგორი გაგარინის მიერ. ის 1851 წელს გაიხსნა და მას შემდეგ ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობდა. 1874 წელს ოპერის ეს შენობა ხანძარს შეეწირა. თბილისის ამჟამინდელი ოპერა კი 1896 წელს გაიხსნა.

ვიანი, უამრავი მაღაზიებით სავსე, რომლებიც ძირითადად სომხებსა და სპარსელებს ეკუთვნის. მაღაზიებში ოქროს სარტყელები იყიდება, რითიც ასე ცნობილია თბილისი და კიდევ ბოსტნეული, სუნელები, საღებავები და სხვ.

ქალაქში მრავლადაა ღვინის დუქნები. ღვინო ძირითადად კახეთში მოჰყავთ, თელავში, რომელიც თბილისიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. აქაური ღვინო სისხლივით წითელია და მდიდარი არომატის, ძირითადად ბურგუნდიული ყურძნისგან წურავენ, რომელიც საქართველოშიც შემოუტანიათ. თავად ღვინის დაყენების პროცესი უგულისყურო და ზედაპირულია, მაგრამ როცა ღვინო დაძველდება, მაშინ თავისი სტრუქტურითა თუ გემოთი უდიდეს სიამოვნებას მიანიჭებს ნებისმიერს, ვისაც მისი დალევის ბედნიერება ხვდება წილად. ადგილობრივებს შორის ღვინო ფრიად განთქმულია, მაგრამ იმის გამო, რომ მისი ტრანსპორტირებისთვის ღორის ტყავის ტიკს იყენებენ, მისი შორს წაღება ჭირს. ზოგიერთ მარანში, სადაც ღვინოს წესიერად ინახავენ ბოთლებში, ფრანგულ ღვინოს არაფრით ჩამოუვარდება.

ეს ბაზრები თავისი უშველებელი სახურავებით მშვენიერ ჩრდილს ქმნიან ცხელ ამინდში ჩრდილში მოსასვენებლად, და რადგან მსოფლიოში ძნელად თუ მოიძებნება აზიელ გამყიდველებზე უფრო ყბედები და ჭორიკნები, მათთან მუშტრები სალაპარაკოდ უფრო მიდიან, ვიდრე სავაჭროდ. ხილისა და ბოსტნეულის ზოგიერთი გამყიდველი ქალაქის სხვა ღია სივრცეებსაც იყენებს გასაყიდად. მთათა მწვერვალებიდან, რომლებიც თბილისს გადმოჰყურებენ, ქალაქისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის თვალწარმტაცი ხედი იშლება. მოპირდაპირე მხარეს ვაკე უსწორმასწორო ბორცვებში გადადის და ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს ერწყმის. სტეპებზე სწრაფად მომდინარე მდინარე მოჩანს, რომლის ორივე მხარეს პატარ-პატარა სოფლებია მიმოფანტული, მდინარეზე - დიდი მორის ტივები. ზოგადად თბილისი და მისი მიმდებარე ტერიტორიები აღმოსავლეთით თითქმის სულ ხითაა ნაშენები. მოტივეები გამაოგნებელ სიმარჯვეს იჩენენ და უშველებლ ტივებს ოსტატურად მართავენ აბობოქრებულ ტალღებში. მთებში შემავალ ხეობებსა და ნაპრალებში ბრტყელ სახურავებიანი დამახასიათებელი სახლები მოჩანს, უმეტესად ქართული და სომხური, რომლის მაცხოვრებლებიც, საღამოობით, დღის მწველი სიცხის შემდეგ სახურავზე გრილ ჰაერზე მოითქვამენ სულს.

თავად ქალაქი მდინარეს ორი მილის გასწრივ გასდევს და სპარსული ნაწილით სრულდება, რომელიც ქალაქის საამო ხეხილიან გარეუბანს წარმოადგენს და მიმდებარე ხრიოკ ველთან სასიამოვნო მწვანე კონტრასტს ქმნის. აქედან უკვე ქალაქის ყველაზე მშვენიერი ნაწილი იწყება უამრავი ტაძრით, გუმბათით, შპილით, საჯარო შენობით, წითელ აგურიანი სახლით. ყველაფერი ისეთი ლამაზია, რომ ძნელია იმის დაჯერება, რომ ეს სწორედ ის დიდებული ქალაქია, რომელიც პირველი ჩამოსვლისას ვიხილეთ.

მთის ნახევარი კოშკებითაა მიმოფენილი, რომლებსაც კედელი აერთიანებს. ის, რაც გარდასულ დროში ქალაქის სამხრეთ გამაგრებულ ნაწილს წარმოადგენდა ახლა ნანგრევებადაა ქცეული. ისტორიას თუ გავიხსენებთ, ქალაქის დასაცავად ეს საკმარისი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ძნელად თუ მოიძებნება ქალაქი, თბილისის ოდენა ომები, რომ ჰქონდეს გამოვლილი. 1795 წელს იმით განაწყენებულმა სპარსეთმა, რომ საქართველომ რუსეთს სთხოვა მფარველობა, ქალაქი საშინლად ააოხრა და ააწიოკა, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი კი მონებად წაასხა აღმოსავლეთში. დედოფალმა ეკატერინემ საპასუხოდ სპარსეთს ომი გამოუცხადა და რამოდენიმე წლის შემდეგ საქართველო რუსეთის იმპერიას მიუერთა, რასაც მალევე მოყვა სამეგრელოს ანექსიაც. რუსეთის ბატონობის ქვეშ საქართველომ მყისიერ დაიბრუნა ძველი დიდება. მისმა მაცხოვრებლებმა კი, მას შემდეგ რაც უსაფრთხოდ იგრძენს თავი, რასაც ამდენ ხანს მოკლებულები იყვნენ ვაჭრობა გააჩაღეს თავიანთ ყოფილ დამპყრობლებთან და თურქულ პროვინციებთან. იმას თუ არ გავითვალისწინებთ, რომ თბილისი უფრო დიდია, იგი მეტად გვაგონებს შუმლას ციხესიმაგრეს, ბალკანეთის ქედის ჩრდილოეთ მხარეში, თურქეთის ევროპულ ნაწილში. ქუჩებში დროშკებს ქირაობენ გადასაადგილებლად. ისინი ძალიან გვანან იმათ, რუსეთში რომ იყენებენ.

თბილისის მაცხოვრებლების მრავალფეროვნების გამო, ქალაქის ხალხმრავალ ქუჩებში გავლა ერთობ თავშესაქცევი საქმიანობაა. ერთ წუთს ლურჯ მატყლის ხალათში გამოწყობილ აწოწილ და ხმელ-ხმელ სპარსელს შეხვდები, გრძელი ასტრახანული შავი ცხვრის ტყავის ქუდიდან გამოჩრილი თმა და წვერი ხნით წითლად რომ შეუღებავს, მეორე წუთს შავ პალტოში გამოწყობილ ევროპელს გადაეყრები, ტყავის ჩექმებსა და შავ შლიაპაში, რომელსაც დიდებული შესახედაობის ჩერქეზი მოყვება, მაღალი ბეწვის ქუდით, გრძელი ყავისფერი მოსასხამით, მკერდზე ასხმული ვაზნებით, ვიწრო ყავისფერი შარვლით, კბილებამდე შეიარაღებული პისტოლეტითა და შაშხანებით და ვერცხლით მორთული ხმალ-ხანჯლებით. შავ უცნაურ ქუდსა და გრძელი ცხვრის ტყავის პალტოში გამოწყობილი დროშკის მძღოლი მას უხეშად უბიძგებს და ხმამაღლაც დაუკიჟინებს, ოღრო-ჭოღრო გზიდან ჩამომეცალეო. იქვე ალბათ სომეხსაც მოჰკრავთ თვალს, გრძელ ხალათში გამოწყობილს, ღამის პერანგს რომ მოგაგონებთ, წელზე ოქროს სარტყელი შემოურტყამს, თავზე კი მაღალი აზიური ქუდი დაუხურავს, ასე ხშირად რომ გვხვდება საქართველოში. მას მოსდევს ნახევრად შიშველი მეთულუხჩე, რომელიც მხარზე გადაკიდებულ ჯოხზე ორივე მხრიდან ჩამოკიდებულ წყლის კასრებს ეზიდება. რუხ პალტოებსა და თეთრ ქუდებში გამოწყობილი რუსი სარდლები, ქართველი ქალები მათ უმშვნიერეს სამოსსა და თოვლივით თეთრ ვუალებში, იგივე ჩადრებში, და რამოდენიმე ევროპელი ქალბატონი, ძირითადად აქ მოღვაწე ქმრებს დამგზავრებულები, საოცარ სურათს ქმნიან და მრავალკულტურული ქცევისა და კოსტიუმების უჩვეულო ნაზავს წარმოადგენენ, რომელსაც თბილისის გარდა სხვაგან ძნელად თუ შეხვდებით.

თბილისში ძალიან ადვილად შეიძლება ყინულის შეძენა, თითქოს ზაფხულის სიცხისგან მოსასულიერებლადო. თითქმის ყოველ ოჯახშია საყინულეები, სადაც ზამთრის განმავლობაში ყინულს იმარაგებენ, ზამთარი კი ბუმბერაზი კავკასიონის გამოისობით საკმაოდ ცივი იცის ამ მხარეში. ყინული ყველასთვის ხელმისაწვდომია და ყინულიანი წყლის შარბათები გროშებად იყიდება თბილისის ქუჩებში.

ილუსტრაციები



სურ. 1 თბილისის პანორამული ხედი



სურ. 1a თბილისის პანორამული ხედი (ფრაგმენტი)



სურ. 1b თბილისის პანორამული ხედი (ფრაგმენტი)



სურ. 2 ქართველ ქალთა კოსტუმები



სურ. 2a ქართველ ქალთა კოსტუმები (ფრაგმენტი)



სურ. 2b ქართველ ქალთა კოსტუმები (ფრაგმენტი)



სურ. 2c ქართველ ქალთა კოსტუმები (ფრაგმენტი)